პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის,
და სრ. სხქ. მ., გ. წ. ა. და
მუშ. დეპ. საბ.
ბაქის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე
ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივანის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ხელმოწერით მომმარჯვლის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 ...

დღიური

— გარდაიცვალა რუსეთის კომპარტიის ძველი წევრი, საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარე ამხ. ნოგინი.

— ნორვეგიაში მოელიან მუშების საერთო გაფიცვას.

— საბერძნეთის დემოკრატებმა [illegible]

— რომში ჩავიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, რომელიც დაიწყებს ხელშეკრულების გამოცვლას.

— დაიხურა ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.

№ 117 (972) შაბათი, 24 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 117 (972)

ბანდიტებისა და მკვლელების პარტია

თბილისის გაზეთებში გამოქვეყნდა ყოფილი მენშევიკის უშანგი ლომინაძის მეტად ძვირფასი განცხადება, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ეს არის ჭეშმარიტად გასაოცარი დოკუმენტი, რომელიც სინათლეს ფენს მენშევიკების სისაძაგლესა და ბოროტმოქმედებას, რომლებითა გაცნობა აღშფოთებას გამოიწვევს საბჭოთა საქართველოს ყველა პატიოსან მუშაში. ეს—სასიკვდილო განაჩენია პარტიისათვის, რომელიც იქამდი მივიდა, რომ კუთხიდან არამზადულად, ქურდულად კლავს თავის ერთგულ და დამსახურებულ წევრებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გაბედეს კავშირის აშკარად გაწყვეტა პარტიასთან, როცა ის დადგა ბანდიტიზმის გზაზე ჩვენ მაშინაც, როცა მოკლეს მუშა ილ. გიორგაძე, ვსწერდით, რომ ეს მოაწყო მენშევიკურმა ც. კ. უშანგი ლომინაძის წერილი, რომელმაც იცოდა ამ საქმის მთელი ვითარება, მაგრამ სამწუხაროთ გვიან სთქვა ეს, ყველას არწმუნებს იმაში, რომ ჩვენ მართალი ვიყავით.

რას წარმოადგენს მენშევიკების მთელი მოღვაწეობა და რით ხასიათდება მენშევიზმი უკანასკნელ ხანებში? ამას მოგვითხრობს უშანგი ლომინაძე მენშევიკების არალეგალური ც. კ. პრაქტიკა გამოიხატება: 1) ავანტიურიზმში („აჯანყების" მომზადება), 2) ტერორის ორგანიზაცია, 3) ძარცვა და 4) ბანდიტიზმი.

„საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამისათვის უნდა მოეწყოს „აჯანყება", შეიძლება „უცხო ძალების" იმედის დაკარგვა—დამახასიათებელი წერილი. მენშევიზმს იმედი აქვს მილიციის,—ძალაუფლების და საბრძოლო საჭიროა ხომ მილიციის „მონაწილეობა. გზავნიან იქ უშანგი ლომინაძეს, ავალებენ მას სამეულის და ჯგუფების მოწყობას, წინადადებას აძლევენ გასწმინდოს მილიცია სომხურ ელემენტებისაგან (ინტერნაციონალიზმიც ასეთი უნდა!) მაგრამ აქაც მენშევიკებს კრახი ნაცარში ჩაუვარდათ, ვინაიდან, როგორც წერილშია ნათქვამი, მუშაობამ ნაყოფი არ გამოიღო „რადგანაც მილიციის მთელი შემადგენლობის სიმპატია გადახრილი იყო საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიუხედავად იმისა, რომ მათი პირობები კიდევ არ იყო საგრძნობლად გაუმჯობესებული".

მეტად ძვირფასი აღიარებაა. მუშურ-გლეხური მილიცია, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი, სდგას საბჭოთა სახელმწიფოს სადარაჯოზე, არ ებმება მენშევიკური პროვოკაციის ანკესზე და სავსებით ამართლებს თავის მაღალ დანიშნულებას. ამრიგად ც. კ. ავანტიურიზმი—„აჯანყების"-ს მოწყობა მილიციის საშუალებით, ჩაიშალა უშანგი ლომინაძეს ეძლევა ახალი დავალება მენშევიკების ცენტრალური კომიტეტისაგან. მას დაევალა ტერორისტული ჯგუფის მოწყობა.

ტერორისტული ჯგუფი საჭიროა პირველყოვლისა იმისათვის, რომ მოახდინონ ტერორი და მოსპონ ისინი, რომლებიც არალეგალურ ც. კ. განსაკუთრებით არ მოსწონთ, და მეორე—იმისათვის, რომ აწარმოონ ჩვეულებრივი ძარცვა-გლეჯა, ექსპროპრიაცია, ვინაიდან თურმე „პარტია საშინელ მატერიალურ კრიზისს განიცდის". და რადგან პარტია (?!!) კრიზისს განიცდის (კრიზისს ყოველ მხრივ!), რატომ არ უნდა მოახდინონ ცოტაოდენი ძარცვა, ან მოკლან ვინმე, მით უფრო, რომ ამას შეასრულებენ „საიმედო პირები" ისე, რომ არავინ ამას არ გაიგებს. მაგრამ მაინც გაიგეს, რა სამწუხარო არ იქნება ეს „უპრინციპიალურეს" და „უსამღვდელოეს" ნოე ჟორდანიასათვის. მთელმა ქვეყანამ გაიგო იმის შესახებ, რომ ძარცვა გლეჯისა და ზურგს უკანიდან მკვლელობამ მენშევიკების პარტია მიიყვანა აშკარა ბანდიტიზმამდი და გზა—ნოე ჟორდანიას მიხედვით—აღმოჩნდა არა „დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისაკენ", არამედ დემოკრატიის საშუალებით პირდაპირ ბანდიტიზმისაკენ.

და როცა ასეთი სისაძაგლისა და პარტიის ასეთი დაცემის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს პატიოსანი მუშა ილარიონ გიორგაძე, მენშევიკი ტერორისტები მოღალატურად კლავენ მას.

ილარიონ გიორგაძე კი ქართველ მუშა-მენშევიკებს შორის თვალსაჩინო ფიგურა იყო გიორგაძე, პარტიის წევრი 1908 წლიდან, თავმჯდომარე პროფკავშირების არალეგალური ბიუროსი, რომელიც არალეგალურ მუშაობას ხელმძღვანელობდა თბილისში, ყოფ. მენშევიკების ყრილობის შემდეგ მენშევიკებთან დარჩენილ მუშებს შორის, უდიდეს ძალას წარმოადგენდა. მაგრამ ისიც, ხედავდა და აფასებდა რა მთელს მდგომარეობას, სწყვეტს ყოველგვარ კავშირს პარტიასთან და მიუხედავად მენშევიკების ცეკას მუქარისა, თამამად აცხადებს: „მე არავის არ უყურებ და ვაკეთებ იმას, რასაც მიკარნახებს ჩემი რევოლუციონური სინიდისი". მაგრამ, უსინდისო მენშევიკებმა ეს მას ვერ აპატიეს და არალეგალურ ც. კ. დადგენილებით ილ. გიორგაძეს კლავენ და ვინ კლავს მას? უშანგი ლომინაძის წერილი ფარდას ხდის ამ საშინელ მკვლელობას ეს საძაგელი საქმე ჩაიდინეს ასეთმა პროვოკატორულმა და არამზადა ტიპებმა, როგორც სამსონ დობორჯგინიძე, რომელიც განთავისუფლებული იქნა საგანგებო კომისიიდან და ილარიონ გიორგაძესთან ერთად დადვა ხელწერილი, მაგრამ განთავისუფლდა თუ არა, კვლავ მიეცა მენშევიკურ იდეებს და გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე. ამ დობორჯგინიძემ, როგორც „მეგობარმა", გაიტყუა გიორგაძე ქალაქს გარედ და ჩაუგდო ხელში მენშევიკ მხეცებს.

ამ მკვლელობის მთელი აზრი იმაში იყო, რომ დაეშინებინათ, ტერორს ქვეშ დაეყენებინათ ისინი, ვინც მენშევიკურ პარტიას სტოვებდა და შური ეძიათ გიორგაძეზე იმისათვის, რომ მან თავისი წასვლით, როგორც გავლენიანმა მუშამ, მოსპო ისედაც მომაკვდავი პარტია.

მაგრამ მაუზერიდან გამოსროლილი ტყვიით არ შეიძლება გადარჩენა პარტიის, რომელიც დასაღუპად არის განწირული. ასეთი გასროლა არის სროლა პარტიისათვის, რომელსაც არაფერი დარჩენია, გარდა ბრძოლის უვარგისი საშუალებებისა და ისინი უადვილებენ პარტიას საფლავისაკენ აუცილებელ გზას.

და რა რიგად არ უნდა შეეცადოს პატივცემული ნოე ჟორდანია მიჩქმალოს გიორგაძის მოკვლა, გაიმართლოს თავი პოლიტიკური პარტიის ისტორიაში უმაგალითო სისაძაგლეში, ფაქტი ფაქტად რჩება. და ამის შესახებ აცნობა ქვეყანას თვითონ ყოფილმა გავლენიანმა მენშევიკმა უშანგი ლომინაძემ ეს მის მიერ გამოქვეყნებული ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი ერთხელ კიდევ აძლევს მძიმე ლახვარს მენშევიკ ავანტიურისტების საფლავს, რომელსაც დაამშვენებს პატარა წარწერა: „აქ განისვენებს ბანდიტებისა და მკვლელების პარტია".

მ. კახიანი.

პუანკარეს შემდეგ

ამას წინეთ ჩვენ შემთხვევა გვქონდა შევხებოდით პარიზისა და მოსკოვის ურთიერთობას, როგორც მსოფლიო ომის წინა ხანაში, ისე მსოფლიო ომის დროს და რევოლუციის პერიოდშიაც.

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ომის წინა ხანებში რუსეთი გახდა საფრანგეთის ნახევარ კოლონიად, ომის პროცესში რუსეთის ჯარი იბრძოდა საფრანგეთის იმპერიალისტთა ჯიბეებით და ომობდა უაზროდ და უმიზნოთ, ხოლო რევოლუციის დროს საფრანგეთი ყოველი გზით სცდილობდა რეაქციის გამაგრებას რევოლუციის წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთს დიდძალი თანხა აქვს დაბანდული რუსეთში ეს თანხა 25 მილიარდ მარკამდე აღწევს. ამას გარდა რუსეთი ისეთივე მონურ სამსახურში ყავდა ჩაყენებული საფრანგეთს, როგორც თავისი კოლონიები—ალჟირი და ტუნისი. ამიტომ, პარიზის გაბოროტებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ გასაგები მოვლენა იყო. ვრანგელი, დენიკინი, პოლონეთი, რუმინეთი, ოსმალეთის გამოყენების ცდა, გენუის კონფერენციაზედ მკაცრი პოლიტიკა და სხვა მიმართული იყო ჩვენს წინააღმდეგ.

საფრანგეთმა თავისი პოლიტიკური პროგრამა ვერ განახორციელა ჩვენს მიმართ ინგლისის და იტალიის მიერ ჩვენი ცნობის შემდეგ იგი მოექცა იზოლიაციაში. ფორმალური სახე მიიღო ანტანტის „ოჯახში" ფაქტიურმა უთანხმოებამ. ცხადია, საფრანგეთს არ დარჩენოდა სხვა გზა თუ არა კურსის შეცვლა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ჩვენ ამას წინათაც აღვნიშნავდით, რომ პარიზს აღარ შესწევდა ძალა ძველი გზით წასულიყო მოსკოვთან ურთიერთობაში. პუანკარეს შეურიგებელი პოლიტიკა გამოუსადეგარი გახდა მას შემდეგ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების დაცემის პერსპექტივა მოისპო.

წინეთ მეტად დიდი სიბრაზე ეტყობოდა პარიზის პოლიტიკურ მოღვაწეებს 1919 წელს კლემანსო, ინგლის-ამერიკის წინადადების წინააღმდეგ (რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მას საბჭოთა რესპუბლიკის საკითხში), გაიძახოდა—როგორ შეიძლება ჩვენს რიგებში დამნაშავეების ჩარიცხვაო. ბრიანი კი ვაშინგტონში აცხადებდა—საფრანგეთს არ შეუძლია ძლიერ განიარაღება, რადგან რუსეთიდან ევროპას ელის საშიშროებაო. პუანკარე ომის პოლიტიკა ყველას თვალწინ უდგას. იგი ევროპის ჟანდარმის როლს მშვენივრათ ასრულებდა. უნდა გამოვტყდეთ, მან კი დიდ დიდხანს შესძლო ამ როლში ყოფნა.

დღეს მდგომარეობა იცვლება. ნაციონალური ბლოკი, რომელსაც უდგა სათავეში რენეგატი მილიერანი. კარგავს პოლიტიკურ სიმაღლეს.

ნაციონალური ბლოკი, პუანკარესა და ბარტუს პოლიტიკის სახით, წარმოადგენდა მსხვილი ბანკებისა და მიწათმფლობელთა ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციას. ვერსალის ხელშეკრულების შესრულება, სახელმწიფო მონოპოლიების მოხსნა, სამუშაო დღის შემცირება, ბრძოლა რადიკალურ სოციალისტურ და კომუნისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ შეიცავდა ცნობილი ბლოკის პოლიტიკურ პროგრამას.

ჩვენ უკვე მოწმე ვართ, რომ პუანკარეს პოლიტიკამ არ გამოიღო გონიერი პოლიტიკა საფრანგეთისათვის. მან ვერ შეაფასა სათანადოთ საერთაშორისო ძალთა ვითარება და აქტიური აგრესიული პოლიტიკის შედეგათ მიიღო სრული იზოლიაცია „მეგობრებში", ანტანტის სახელმწიფოთა შორის. პუანკარეს კაბინეტმა ვერ გადასწყვიტა ვერც ერთი მწვავე საკითხი. მან ვერ გახადა უპერანგო გერმანიას პერანგი, მან ვერ დაახრჩო რუსეთის რევოლუცია. ვერ მოაგვარა სარეპარაციო საკითხი. საფრანგეთს შეუნახა 330 მილიარდ ფრანკზედ მეტი ვალი. ახალ-ახალი სამხედრო ხარჯებით დაამძიმა ბიუჯეტი. ყოველივე ამან დასცა მისი გავლენა და მივიღეთ გადახვრა „მარცხნით", პოლიტიკურ ჰორიზონტზედ გამოჩნდა ერიოს აჩრდილი, მემარცხენე ბლოკის გამარჯვების ნიშნათ.

საინტერესოა ვიკითხოთ—რას მისცემს მემარცხენე ბლოკი საფრანგეთს? შესძლებს თუ არა იგი რაიმე რადიკალური ნაბიჯების გადადგმას? უნდა ვიფიქროთ, რომ ვერ შესძლებს.

მართლაც მემარცხენე ბლოკი დიდათ არაფრით განსხვავდება ნაციონალური ბლოკიდან, თუ მას მშრომელი ხალხის თვალსაზრისით შევხედავთ იგი ვერსალის ხელშეკრულების პირწმინდათ შესრულებაზედ მტკიცეთ სდგას. რეპარაციის საკითხში არსებითი ცვლილება მას არ შეაქვს. სამშობლოს „სიყვარულში" იგი მის წინაპარს არ ჩამორჩება. თუ მათ შორის რაიმე განსხვავებაა, ეს გამოიხატება იმაში, რომ იგი უფრო რეალურათ ხედავს მოვლენებს, ვიდრე მისი წინაპარი. ეს პოლიტიკური ანგარიშიც დიდათ ღირს. ანგარიშში გაყოლა ყოველთვის შეიძლება.

რას უკარნახებს მემარცხენე ბლოკს პოლიტიკური ბუხგალტერია? რას ეძლევა ის, რომ სანაცვლოთ რაიმე მიიღოს?

დეპეშების ცნობით ერიო, რომელიც ალბათ დღეს ხვალ პრემიერ მინისტრი გახდება, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მაკდონალდის თვალსაზრისზედ სდგას. მან გარკვით იცის, რომ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოს, როდესაც მისი უარყოფით არაფერი გამოდის. იზოლიაციაში მოქცეული საფრანგეთი ცდილობს ერიოს პოლიტიკით ისევ დაუბრუნდეს „საერთო ოჯახს". იგი ერთი მხრივ ერთად ლიგისა და მაკდონალდის მიმართ ფიქრობს მოლაპარაკების გამართვას, ხოლო მეორე მხრით ემზადება საბჭოთა რესპუბლიკების ცნობისათვის. ეს საფრანგეთისათვის გონიერი პოლიტიკაა. საფრანგეთი რამდენათაც მეტად გაბრაზდა ჩვენზედ, იმდენათ მან მეტი წააგო ეხლა, რამდენადაც იგი მეტად დამშვიდდება, იმდენად მეტად მოიგებს. ეს იცის ერიომ.

თუ საფრანგეთს არ სჭირდება ჩვენი სასოფლო სამეურნეო პროდუქტები, მას დიდათ ვჭირდებით ჩვენ, როგორც მანუფაქტურულ ნაწარმოების მომხმარებელი და ნახევრად ფაბრიკატების მიმწოდებელი ამიტომ ერიო არ სცდება, როდესაც საბჭოთა კავშირის ცნობის დროს ევროპის სავაჭრო მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობს. როგორც ყოველთვის, აქაც მკაფიოდ სჩანს „მომეც მოგცემ"-ის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა აიძულებს პარიზს, რომ მან იცნოს მოსკოვი.

ერიოს პოლიტიკა მნიშვნელოვანია პოლონეთის და რუმინეთის მდგომარეობის გამოსარკვევად. ცხადია, მემარცხენე ბლოკი არ გაუწევს დახმარებას პოლონეთისა და რუმინეთის იმპერიალისტებს, როგორც მას უწევდა დახმარებას პუანკარეს კაბინეტი. წინეთ ეს ძალები სჭირდებოდა საფრანგეთს ჩვენს წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის საწარმოებლად, ხოლო როდესაც ის ხელს იღებს ჯერჯერობით მაინც ჩვენს წინააღმდეგ საომარ პოლიტიკაზედ, მას ეს ძალები აღარ სჭირდება. ამ გარემოებამ უნდა მოგვცეს პოლონეთისა და რუმინეთის მხრივ „მეგობრული" დამოკიდებულების ძიება ჩვენს მიმართ. ამ მხრივაც ახალი კაბინეტი ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

რასაკვირველია, საფრანგეთის მუშათა კლასი ბევრს მოიგებს იმ პოლიტიკური ცვლილებით, რომელიც დღეს ხდება. ის წაგებულ იქნება მანამ, სანამ ერიოს თუ მის მგზავს პოლიტიკოსთა ადგილს, არ დაიჭერს კაშენი. ეს ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ არც იმდენათ შორს, რომ ევროპის ჟანდარმობა დიდიხანობით შერჩეს საფრანგეთის იმპერიალისტებს.

ხურ. ამაღლობელი.

საბინაო მშენებლობა

საბინაო საკითხს ჩვენში ამ ბოლო დროს არ ექცევა სათანადო ყურადღება. ის თითქო უკანა რიგში მოექცა ჩვენი საერთო აღმშენებლობითი გეგმაში

მდგომარეობა კი ამ დარგში სრულებით არ არის ისეთი, რომ ჩვენ შეგვეძლოს გულდამშვიდებული ვიყოთ.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ ქალაქებში და კერძოდ თბილისში ჩამოართვა მესაკუთრეებს საგრძნობი რიცხვი საუკეთესო სახლების და ასეთები დაუთმო მუშა-მოსამსახურეთ, აგრეთვე მოახდინა ბინების შემჭიდროება და ჩაასახლა მუშები კერძო მფლობელების ხელში დარჩენილ სახლებში

მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან მცირეა გასაკეთებელსა და საჭიროებებთან შედარებით.

მუშა მოსამსახურეთა დიდძალი ნაწილი დღესაც დიდ შევიწროებას განიცდის ბინის მხრივ მრავალი მათგანი ისევ იმყოფება ბნელ და მიყრუებულ სარდაფებში. ხშირად ერთ პატარა ოთახში ოთხ ხუთ კაცს უხდება ცხოვრება.

არსებულ სახლების შეკეთება ჩვენში ან სულ არ ხდება, ან მიმდინარეობს ძალიან ნელა და სუსტად.

თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს, რომლის გამგებლობაში არის საგრძნობი რაოდენობა ქალაქის კარგი და დიდი შენობების,—კარგად არ აქვს დაყენებული მათი მოვლა-პატრონობის საქმე

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული ცნობები, საიდან სჩანს, რომ არამც თუ არ წარმოებს ქალაქის კუთვნილი შენობების შეკეთება საჭირო მასშტაბით, არამედ ხშირად ფუჭდება ისიც, რაც არის. ბევრ ადგილას სუფევს უსუფთაობა, ფანჯრები ჩამტვრეულია, ხშირია ხანძარის შემთხვევები და სხ.

რაც შეეხება კერძო სახლის პატრონებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მფლობელობის საკმაო უფლებებიც აქვთ მიცემული, ბინის ქირასაც მოუმატეს, რათა წახალისებით თავიანთი სახლების შეკეთებისათვის,—მიუხედავად ამისა—ისინი უმეტეს შემთხვევაში არავითარ მზრუნველობას არ იჩენენ ამ მხრივ.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ მარტო არსებულის შეკეთებით, თუნდაც ეს საქმე კარგად დავაყენოთ, ბინის საკითხს საბოლოოდ ვერ გადავჭრით.

თბილისში ჩვენ ვხედავთ საცხოვრებელ შენობების ფრიად დიდ სიმცირეს, მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით მცხოვრებელთა რიცხვი გაცილებით აღემატება არსებულ ბინების ტევადობას, თუნდაც ისინი სამართლიანად და სავსებით იქნენ განაწილებულ გამოყენებულნი.

ამიტომ, პირველ რიგში უნდა დავაყენოთ მუშათა ახალი ბინების და საცხოვრებელ უბნების აშენების საკითხი.

ამ საქმეს, სახელმწიფოს მონაწილეობა-დახმარებით, ხელი უნდა მოკიდონ მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიულმა ამხანაგობებმა.

რუსეთში კარგა ხანია ამ სფეროში გაჩაღებულია ფართე კამპანია და მუშაობა. ჩვენში კი ამის ნასახსაც ვერ ვხედავთ დღემდე

ასეთ მდგომარეობას აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა წავბაძოთ რუსეთის მრავალმხრივ მაგალითს.

მით უმეტეს, რომ მუშათა სახლების აშენების საქმეს უკვე მიეცა სახელმწიფოებრივი ღონისძიების ხასიათი.

ამ მხრივ უდიდესი ყურადღების ღირსია საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მუშათა სახლების კოოპერატიულ მშენებლობისათვის ხელის შეწყობის შესახებ (იხ. მოსკოვის „ИЗВЕСТИЯ"… № 111).

ამ დადგენილების მიხედვით: 1) ადგილობრივი სათანადო საბჭოთა ორგანოები ა | წ. პირველი მაისიდან აძლევენ არამშრომელ ელემენტებს, გარდა დაწესებულ საბინაო ქირისა, ზედმეტ, სპეციალურ გადასახადს მუშათა კოოპერატიულ მშენებლობის სასარგებლოდ, 2) დაწესებულ ა | წ. 1 ოქტომბრიდან, წესდება დამატებითი გადასახადი საშემოსავლო გადასახადზე, როცა შემოსავალი (გარდა სამუშაო ხელფასისა) ნახევარ წელიწადში აღემატება 1.200 მანეთს; ამ დამატებიდან შესდგება სახელმწიფოებრივი ფონდი ხანგრძლივი სესხის გასაცემად მუშათა საამშენებლო კოოპერატივებისათვის; 3) მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდისათვის სახელმწიფო წარმოებებზე დაწესებულ ანარიცხიდან გამოიყოფა განსაზღვრული ნაწილი ხანგრძლივი შეღავათიანი სესხის მისაცემად მუშათა სახლების კოოპერატიულ მშენებლობისათვის, ამასთან დაბრუნებული სესხი და მისი პროცენტები გადაეცემა მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდში; 4) ადგილობრივ საბჭოების შემოსავლიდან, რომელიც შემოდის მათ მიერ გაქირავებულ სავაჭრო, სამრეწველო და დაწესებულებების შენობებიდან, ამა წ. 1 მაისიდან არა ნაკლებ 5 პროცენტისა გადაიდება მუშათა ადგილობრივ საბინაო მშენებლობისათვის; 6) საბინაო მშენებლობის ამხანაგობებს ეძლევათ საგრძნობი შეღავათი სახლებისათვის მიწების გადაცემის, სამშენებლო მასალის მიცემის, მათი გადაზიდვის საქმეში; 7) ეს ამხანაგობები თავისუფლდებიან სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადისაგან და სხ.

ასეთია ხსენებული დადგენილების საერთო შინაარსი.

ამნაირად, მუშათა საბინაო მშენებლობას ეძლევა მკვიდრი მატერიალური საძირკველი

საჭიროა ამ დადგენილების სისრულით გატარება ცხოვრებაში.

საჭიროა ფართე კამპანიის ჩატარება მუშათა მასსაში და საქმის ფართოდ დაწყება.

უნდა შედგნენ მუშათა კოოპერატიული მშენებლობის ამხანაგობანი პროფკავშირებმა უნდა იკისრონ ხელმძღვანელი როლი და ხელში აიღონ ამ საქმის ორგანიზაცია.

სათანადო საბჭოთა ორგანოებმა კი უნდა აღმოუჩინონ ყოველმხრივი დახმარება.

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ თავი დავაღწიოთ იმ მწვავე საბინაო კრიზისს, რომელსაც განვიცდით.

X.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

პუანკარეს ადგილს დაიჭერს ერრიო

პენლევე დასთანხმდა თავმჯდომარეობაზე დეპუტატთა პალატაში.

პარიზის მემარცხენე პრესა მილიერანის გადადგომას მოითხოვს.

პენლევე მომხრეა საბჭოთა კავშირის ცნობის.

ახალი მთავრობის შედგენა



ერრიო

ერიო ადგენს მთავრობას.

ბერლინი. 23 მაისი. პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ ერიო დასთანხმდა მთავრობის შედგენაზე. გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მოლაპარაკებას ერიოსა და ბრიანის შორის.

ერიო პრეზიდენტთან.

ლონდონი 23 მაისი. პარიზიდან

მიღებული ცნობით, ხვალ ერრიოს ელისეის სასახლეში მიიღებს პრეზიდენტი

თათბირი ბრიანთან

პარიზი. 23 მაისი. ერრიოს თათბირი ჰქონდა დუმერგთან და ბრიანთან. თათბირის შემდეგ პენლევე დასთანხმდა დეპუტატთა პალატაში თავმჯდომარეობაზე.

ერრიოს ლონდონში ელოდებიან.

პარიზი. 23 მაისი. პუანკარესა და ერრიოს შორის თათბირის შედეგმა კმაყოფილება გამოიწვია ლონდონში. როგორც კი ახალი მთავრობა შესდგება, მაკდონალდი საფრანგეთის ახალ პრემიერს პარიზში მიიწვევს.

მილიერანს გადადგომას მოსთხოვენ.

ბერლინი. 23 მაისი. პარიზის მემარცხენე პრესა განაგრძობს კამპანიას მილიერანის წინააღმდეგ, რომლის გადადგომას მოითხოვს პუანკარეს წასვლასთან ერთად.

„პოპულერი" საფრანგეთის ფინანსების მოუწესრიგებლობაში ბრალს სდებს ნაციონალურ ბლოკს. გაზეთი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ფინანსიურ კრიზისს მტკიცე კავშირი აქვს ვერსალის ხელშეკრულებასთან, რომელმაც პუანკარეს წყალობით და მილიერანის დახმარებით აუტანელი მდგომარეობა შექმნა.

ვინ იქნება მთავრობაში

მილიერანის თათბირი ერრიოსთან და პენლევესთან.

რომი. 23 მაისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, მილიერანმა მიიღო ერრიო, პუანკარე, პენლევე და ფინანსთა მინისტრი მარსალი.

გამართულ თათბირზე მარსალმა დახატა საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა.

ერრიომ და პენლევემ განაცხადეს, რომ მთავრობის მოვალეობას შეადგენს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალში სწორი შეფარდების დამყარება.

საფრანგეთის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ თათბირს.

გაზ. „ევრ" (მემარცხენე ბლოკის ორგანო) ადასტურებს, რომ ერრიო შეადგენს მთავრობას იმისდა დამოუკიდებლად, შევლენ თუ არა მთავრობაში სოციალისტები. თუ სოციალისტები დასთანხმდნენ მთავრობაში შესვლაზე, ერრიო შეადგენს კაბინეტს სოციალისტებიდან და რადიკალებიდან.

საფრანგეთის კომპარტიის მანიფესტი

მემარცხენე ბლოკი უძლურია

პარიზი. 21 მაისი. საფრანგეთის კომპარტია მოწოდებაში აღნიშნავს, რომ მემარცხენე ბლოკი, რომელიც გაიყო ორ ფრაქციათ—რადიკალებათ და სოციალისტებათ—უძლურია საბჭოთა კავშირის ცნობის, სრული ამნისტიის, დათხოვნილ რკინისგზელების უკან მიღების გატარებაში.

კომპარტია კი შეიტანს პარლამენტში რევოლუციონურ პროგრამას, რომელიც მოითხოვს ბურჟუაზიული არმიის გაუქმებას, პროლეტარიატის შეიარაღებას, დიდ ქონებათა კონფისკაციას, საწარმოო საშუალებების კონფისკაციას, ახალშენების დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ომის გამომწვევში დამნაშავეთა დასჯას და მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნას.

მანიფესტი მოუწოდებს გაერთიანებისაკენ ყველა მშრომელთ, პატიოსან სოციალისტებს, ბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ, რომელიც უეჭველად შეიკავშირდება, რომ გაილაშქროს მუშათა მოთხოვნილებების წინააღმდეგ.

ურთიერთობა საფრანგეთთან

პენლევე საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

პრაღა. 21 მაისი. პენლევემ „პრაგერ პრესსე"-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ ის ყოველთვის საბჭოთა კავშირის იზოლაციისა და მასთან ბრძოლის წინააღმდეგი იყო. საბჭოთა კავშირის ეკონომიური განმტკიცება საჭიროა ევროპისათვის.

პენლევემ ხაზი გაუსვა, რომ ის ყოველთვის მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური კავშირის აღდგენას და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის წესი—მომავალი მთავრობის საქმე არისო. ამ მთავრობის მეთაური ალბათ ერრიო იქნებაო,—სთქვა პენლევემ.

მოსკოვში ყოფნის შემდეგ

პარიზი. 21 მაისი. მოსკოვიდან დაბრუნებული მარტენი აქვეყნებს პრესაში წერილს, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას, მიუხედავად იმისა იცნობს თუ არა საბჭოთა კავშირი თავის ვალებს, მარტენი ამართლებს საბჭოთა კავშირის მიერ „ნეპმანების" წინააღმდეგ მიღებულ ზომებს და უკანასკნელებს ადარებს სპეკულიანტებს, რომლებიც გამდიდრდნენ ომის დროს ყველა ქვეყნებში.

უარყოფს.

პარიზი. 21 მაისი. საბჭოთა კავშირის ყოფილი სავაჭრო წარმომადგენელი პარიზში სკობელევი უარყოფს ხმებს მისი პარიზში დაბრუნების განზრახვის შესახებ.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი. 23 მაისი. რეზინის ტრესტმა ვენის ერთ ფირმას მიჰყიდა 250 000 წყვილი კალოში ავსტრიაში, უნგრეთში, სამხრეთ სლავიაში და ჩეხო-სლოვაკიაში გასასაღებლად.

დამოკიდებულება გერმანიასთან

საპასუხო არაფერი აქვთ

ბერლინი. 21 მაისი. გაზეთებმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ცნობა უკომენტარიოთ მოათავსეს. მხოლოდ შტრეზემანის „ცაიტ" არ სთვლის საფუძვლიანათ ამ ცნობას.

კონფლიქტი სასწრაფოდ უნდა იქნას მოგვარებული.

ბერლინი. 21 მაისი. „ახალ რუსეთის მეგობართა საზოგადოებამ" ბერლინში მოაწყო ჟურნალისტ ლენგოფის მოხსენება. ლენგოფმა გააკეთა მოხსენება მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაზე. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე რუსეთ-გერმანიის კონფლიქტს და პროტესტი გამოსთქვა ბერლინის პოლიციის თავდასხმის გამო სავაჭრო წარმომადგენლობაზე. კამათის დროს ყველა ორატორებმა მხარი დაუჭირეს მოსენინგის პროტესტს და მოითხოვეს გერმანიის მთავრობის მიერ ზომების მიღება კონფლიქტის სასწრაფოდ მოსაგვარებლად.

სარკინიგზო კონფერენცია არ შედგება.

ბერლინი. 21 მაისი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მომხდარი კონფლიქტის გამო, რუსეთ-გერმანიის სარკინიგზო კონფერენცია არ შედგება.

რა ხდება გერმანიაში

რეიხსტაგი გაიხსნება 27 მაისს

მთავრობის თავმჯდომარეთ ასახელებენ ცნობილ რეაქციონერს ადმირალ ფონ ტირპიცს

კომინტერნმა მთელი ქვეყნის მუშებისადმი გამოუშვა მოწოდება გერმანიის მუშების დევნის წინააღმდეგ.

კაბინეტის შედგენა.

ბერლინი. 23 მაისი. ოთხშაბათს გრძელდებოდა თათბირი ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ. თათბირი უშედეგოთ დამთავრდა. ცენტრის პარტიებმა დაადგინეს კიდევ მიმართონ ნაციონალისტებს გაერთიანებულ საგარეო—პოლიტიკური პროგრამის გატარების მიზნით.

ჰალეში მომხდარ ამბების გამო.

პარიზი. 23 მაისი. საქსონიის ლანდტაგმა უარჰყო კომუნისტების წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ; უნდობლობის წინადადება გამოწვეული იყო ჰალეში პოლიციის საქციელის გამო.

ტევტონელებს ეარშიყება.

ბერლინი, 21 მაისი ტირპიცი მოლაპარაკებას აწარმოებს ლიუდენდორფთან კოალიციონური მთავრობის შექმნის შესახებ; ტირპიცი ცდილობს ტევტონური პარტიის თანაგრძნობა მოიპოვოს.

რეიხსტაგი 27 მაისს გაიხსნება.

მოთხოვნილების შემცირება ნედლ მასალაზე.

ბერლინი, 21 მაისი. გერმანიის ბირჟების მოთხოვნილება უცხო ვალუტაზე შემცირდა ერთი მესამედით, აპრილთან შედარებით, რაც გამოწვეულია მოთხოვნილების შემცირებით ნედლ მასალაზე.

კენიგსბერგის კომუნისტური გაზეთის აკრძალვა.

ბერლინი. 21 მაისი ოთხი კვირით აკრძალეს კენიგსბერგის კომუნისტური გაზეთი „ოსტ ეკსპრესს" ი. გაზეთის რედაქტორი დაპატიმრებულია. მას ბრალდება სამშობლოს ღალატი.

შეკითხვა პატრიოტული დღესასწაულების შეზღუდვის შესახებ.

ბერლინი, 21 მაისი. პრუსიის ლანდტაგში, კომუნისტების და სოციალ-დემოკრატების მიერ ჰალეში მომხდარ ამბების გამო შეტანილ შეკითხვის საწინააღმდეგოთ, ნაციონალისტებმა შეიტანეს შეკითხვა პატრიოტული დღესასწაულების შეზღუდვის შესახებ.

ორატორმა-კომუნისტმა დაამტკიცა, რომ მთავრობა ხელს უწყობს ფაშიზმს, ამიტომ კომუნისტები მოითხოვენ პრუსიის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას. სოც. დემოკრატმა ვენტიგმა—ჰალის უნივერსიტეტის პროფესორმა ილაპარაკა პოლიციის თავხედურ მოქმედების შესახებ პატრიოტული დღესასწაულის დროს ჰალეში, მაგრამ მან არ აღნიშნა ის, რომ პოლიცია მოქმედობდა პოლიციის უფროსის—სოციალ დემოკრატის განკარგულების თანახმად. ნაციონალისტები, პირიქით, აღნიშნავდნენ, რომ მემარჯვენეების გამოსვლების აკრძალვით, მთავრობა ქედს იხრის კომუნისტების წინაშე.

ზევერინგმა განაცხადა, რომ მთავრობა ერთნაირათ ეპყრობა, როგორც მემარჯვენეთა, ისე მემარცხენეთა დემონსტრაციებს. ზევერინგი ეყრდნობოდა გერმანიის შინაგან საქმეთა

ლენინის რიგების დათვალიერება

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 23 მაისი. „პრავდა" მოწინავეში სწერს: „ლენინის სიკვდილის შემდეგ ჩვენ დაუვიწყარი მომენტები განვიცადეთ, როცა მსოფლიოს ყოველი კუთხიდან გამოხმაურებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ არა ვართ მარტო, რომ ჩვენი პარტია არის ერთ ერთი რაზმი დიდი რევოლუციონური არმიის, რომელიც იქმნება როგორც მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე ჩამორჩენილ კოლონიალურ ქვეყნებში.

მეცამეტე ყრილობა იქნება დათვალიერება სწორედ ამ რაზმის, დათვალიერება სრულიად განსაკუთრებულ პირობებში, ვინაიდან არა მარტო არ გვყავს ბელადი, არამედ პარტიის მიერ მისი ხელმძღვანელობით შეთვისებულმა—მშენებლობის პრინციპებმა, ბრძოლის მეთოდებმა, სასტიკი და ზოგჯერ მკაცრი კრიტიკა განიცადეს.

ჩვენს შინაპარტიულ დისკუსიას თვალყურს ადევნებდა მთელი კომინტერნი, თვალყურს ადევნებდნენ მთელი მსოფლიოს დაჩაგრულნი, ვინაიდან პარტია სწყვეტდა ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მოუხდება პროლეტარიატის დიქტატურას თითეულ ქვეყანაში, როცა ის სოციალისტურ მშენებლობას შეუდგება. პარტიები—კომინტერნის სექციები—გამოეხმაურნენ არა ერთბაშად, ვინაიდან დამოუკიდებლად უნდა გარკვეულიყვნენ თვითეულ სადაო საკითხში თვითეული ქვეყნის თავისებურობის მიხედვით.

რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობის წინ კომინტერნმა გამოსთქვა თავისი აზრი. მან აღტაცებით გამოსთქვა რ. კ. პ. რევოლუციური სიმტკიცისა და ლენინის მოძღვრებისადმი ერთგულების გამო. კომინტერნის ყველა სექციებმა აღიარეს, რომ ჩვენი პარტია—მსოფლიო რევოლუციური პროლეტარიატის დიდი მსოფლიო პარტიის ნამდვილათ მოწინავე რაზმია ამ მსოფლიო პარტიას უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში მიჰყავს ყველა ქვეყნის მშრომელნი. კომინტერნის სექციების დადგენილებებმა საბოლოოდ ამოსწურეს ჩვენი დავა ამ რამდენიმე ხნის წინათ.

არასოდეს არ გრძნობდა ჩვენი პარტია ასეთ კავშირს და ერთობას მთელი ქვეყნის მშრომელ მასებთან, როგორადაც იგრძნო ის მან ახლა, ბელადის სიკვდილის შემდეგ, გლოვის დღეებში".

საფრანგეთის პარლამენტში არჩეული (პარიზიდან) კომუნისტი-დეპუტატები

მარსელ კაშენ



საფრანგეთის კომპარტიის ბელადი თავისი [illegible] გამოსვლებით ნაციონალური ბლოკისა და მენშევიკ სოციალისტების წინააღმდეგ სავსებით დაიმსახურა შავი რეაქციისა და მისი სოციალ-მეხოტბეების სიძულვილი. [illegible] ოთხი თვე გაატარა ციხეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოდის პარტიის ცენტრალური ორგანო, „იუმანიტე", რომლის ტირაჟი აღწევს დღეს 200 ათასს.

შარლ ოფრე



პარტიის წევრი 1918 წლიდან. [illegible] რკინიგზელი. ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი რკინიგზელთა ცნობილი გაფიცვის 1920 წ. გაფიცვის შემდეგ დათხოვნილი იქნა სამსახურიდან. დღეს მუშაობს კერძო ქარხანაში.

ჟან გარშერი

დეპუტატი პარიზის მეორე საარჩევნო ოლქიდან, სადაც პარტიამ წამოაყენა კომინტერნში კარგად ცნობილი აქტივისტის ჟაკ სადულის და ჰენრი გილბოს კანდიდატურა. [illegible], როგორც ცნობილია, სიკვდილით დასჯილი [illegible], ფრანგული მთავრობის მიერ „სამხედრო ღალატისათვის". ორივე კანდიდატურა [illegible] და ერთი მათგანის მაგიერ წამოყენებული იქნა პარტიის მიერ ამხ. გარშერი. მისი სახით პარტიამ შეიძინა ერთგული და ბრძოლაში გამოცდილი მტერი რეაქციისა და მემარცხენე ბლოკის.



არტურ ჰანრიე



ცნობილი პარიზის მშრომელთა შორის. ძველი წევრი კომპარტიის. თავდადებული მებრძოლი, რომელიც სარგებლობს დიდი გავლენითა და პატივისცემით, როგორც პარტიაში ისე მუშათა კლასში.

ჟაკ დორიო

ბელადი საფრანგეთის ახალგაზრდათა კომკავშირის, მისი ცენტრალური [illegible]. დღეს ზის ციხეში. უკანასკნელი დეპეშების თანახმად განთავისუფლებული იქნება ამ დღეებში. ციხე მას მიუსაჯეს მოწოდებისა და წერილებისათვის, რომლებიც მან მოათავსა ჟურნალ „ავანგარდ"-ში და „კაზარმა"-ში,



სადაც მოუწოდებდა ჯარს და კერძოთ რურის საოკუპაციო ჯარს დაძმობილებოდნენ გერმანიის მუშებს. უწოდა საზოგადოთ ცნობილ ანტიმილიტარისტულ კამპანიას. სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა რურის ოკუპაციის შესახებ: „საფრანგეთის ჯარის თავზე მოახვიეს რეაქციონური საქმის კეთება, გერმანელ მუშების აწიოკება. ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო არ მიგვეცა საოკუპაციო ჯარისთვის ლოზუნგი: „ხელი გაუწოდეთ და დაუძმობილდით გერმანელ მუშებს". მისი არჩევა — ეს დიდი გამარჯვებაა ჩვენი პარტიის, კომკავშირის და მათი ანტიმილიტარისტული პოლიტიკის.

მინისტრი, მემარჯვენე იარესის შეთანხმებას პრუსიის მთავრობასთან [illegible] რომ ბერლინელი [illegible] ყოველგვარი დემონსტრაციები [illegible] ქუჩებში [illegible] კომუნისტების წინააღმდეგ და ის პოლიციის მოქმედებას ამართლებდა იმ გეგმებით, რომლებიც თითქოს აპირებდნენ, ვითომ კომუნისტები.

კამათი გრძელდება.

წარმოებები მუშებს უნდა გადაეცეს.

ბერლინი. 21 მაისი. საგარეო [illegible] მასიურად [illegible] რურში მუშები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა მიღებული იქნეს ყველა ზომები იმისათვის, რომ [illegible]. კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე" სწერს: „მუშების ფართო წრეებში იღვიძებს აზრი იმის შესახებ, რომ წარმოებები მუშებს უნდა გადაეცეს".

ფრაქციების წარმომადგენლების პირველი თათბირი.

ბერლინი 21 მაისი. შესდგა ფრაქციების წარმომადგენლთა პირველი თათბირი, რომელიც მოიწვია ნაციონალისტების [illegible]. თათბირს დაესწრნენ ნაციონალისტების, სახალხო პარტიის, დემოკრატიების და ბავარიის სახალხო პარტიის წარმომადგენლები. ნაციონალისტებმა გამოაქვეყნეს საგარეო და საშინაო პოლიტიკის პროგრამა და წამოაყენეს კანცლერის თანამდებობაზე ტირპიცის კანდიდატურა, შინაგან საქმეთა მინისტრად — კიოლნის ყოფილი ობერ-ბურგომისტრი [illegible]. ნაციონალისტები თანახმა არიან დანიშნონ მარქსი ვიცე-კანცლერად, ნაციონალისტები წინააღმდეგი არიან შტრეზემანის კანდიდატურის.

მდგომარეობა ინგლისში

საკითხი უმუშევრობის შესახებ თემთა პალატაში.

ლონდონი, 23 მაისი. დღეს თემთა პალატაში შრომის მინისტრი იცავდა მთავრობის პოლიტიკას უმუშევრობის საკითხში. მან განაცხადა, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ გადაიბარა წინამორბედი კონსერვატორული მთავრობების მიერ გამომუშავებული გეგმები და შეძლებისდაგვარად გააფართოვა ისინი. 31 მარტამდე უმუშევართა დახმარებისათვის გადადებული იყო 2 მილიონი გრ. სტ., მიმდინარე წელს კი ამ თანხას დაემატა კიდევ 20 მილიონი გრ. სტ. წლიურად. გარდა ამისა მინისტრმა მოიხსენია მთავრობის მიერ მიღებული ზომები სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, რასაც მიზნათ ჰქონდა უმუშევრებისათვის სამუშაოს მოძებნა. შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა უახლოეს მომავალში შეიტანს თემთა პალატაში კანონპროექტს ბინების აშენებლობის შესახებ, რომელიც, აგრეთვე გამოიწვევს შრომის დიდ მოთხოვნილებას.

შოუმ აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც მუშათა მთავრობა ჩაუდგა სახელმწიფოს სათავეში, უმუშევართა რიცხვი 19 პროც. შემცირდა.

სხვადასხვა ამბები

● **იარაღი რეიხსტაგში.** გერმანიის რეიხსტაგში აღმოაჩინეს გადამალული იარაღი.

● **ცეცხლის მფრქვეველი მთა.** [illegible] კუნძულებზე ამოხეთქა ცეცხლის მფრქვეველმა მთამ. [illegible] მოსახლეობა გარბის ზღვის ნაპირებისაკენ.

● **კომუნისტების დევნა.** პოლონეთის მთავრობა გერმანიის არჩევნებში კომუნისტების გამარჯვებით შეშინებული, იღებს ზომებს, რომ მომავალ არჩევნებში კომუნისტების გავლენა ამომრჩევლებზე შეასუსტოს.

● **ისევ და ისევ პაშიჩი.** სერბიის მეფემ ახალი მთავრობის შედგენა დაავალა ისევ პაშიჩს. პაშიჩმა უკვე შეადგინა მთავრობა.

● **მუშათა მთავრობა განაგრძობს შეიარაღებას.** ინგლისის თემთა პალატამ მიიღო კანონპროექტი ინგლისის საჰაერო ძალების გაძლიერების შესახებ. ეს პროექტი შედგენილი იყო ჯერ კიდევ ინგლისის ძველი მთავრობის მიერ და მაკდონალდი ახლა მას ცხოვრებაში ატარებს.

● **ამერიკა იარაღდება.** ამერიკის მთავრობამ დაუკვეთა 8 ხომალდი კრეისერი. თითოეული კრეისერი დაჯდება 15 მილიონი დოლარი.

● **ებრაელების დარბევა.** ბელგრადიდან მიღებული ცნობებით რუმინეთში გრძელდება ებრაელების დარბევა. კლაუზენბურგში ბრბომ მდინარეში გადააგდო ორი ებრაელი სტუდენტი. პროფესორები ებრაელებს არ აძლევენ უნივერსიტეტში ლექციების კითხვის უფლებას.

● **[illegible] შინაგან მინისტრი.** [illegible] გადადგა [illegible]თის შინაგან საქმეთა მინისტრი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში [illegible] კამპანიას აწარმოებდა მის წინააღმდეგ და ბრალს დებდა მას მრავალ ბოროტ მოქმედებაში. ყველა ეს ბოროტმოქმედებანი დამტკიცდა. ახალ შინაგან მინისტრად დაინიშნა რიჯები, სახალხო პარტიის პირველი მდივანი.

● **ახალი ტანკები.** გაზ. „ტან"-ის ცნობით საფრანგეთში დაამზადეს ახალი 600 ტონიანი ჯავშნიანი ტანკი. თითოეული ტანკი დაჯდება 6,000,000 ფრანკი.

● **ინგლისი განაგრძობს შეიარაღებას.** ინგლისის თემთა პალატამ მიიღო კანონპროექტი საჰაერო ფლოტის გადიდების შესახებ. ინგლისის საჰაერო ფლოტი გადიდებული იქნება 7 ახალი საჰაერო რაზმით.

● **[illegible] გაფიცვის [illegible].** ქრისტიანიის (ნორვეგიაში) კომუნისტური ორგანიზაცია მოუწოდებს მუშებს გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა.

● **გაფიცვა გათავდა.** რანგუნის (ინდოეთში) ნავთსადგურის გაფიცულმა მუშებმა განაახლეს მუშაობა.

● **სხდომების აკრძალვა.** ნორვეგიის მთავრობამ აკრძალა ყველა სხდომები, რომლებიც დახურულ შენობებში არ იმართება.

● **ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.** ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია დაიხურა. კონფერენციის დადგენილებებს საიდუმლოთ ინახავენ.

წითელ ახალგაზრდობაში

რუსეთი

[illegible] კლუბი.

ოდესა. 28 მაისი. სოფ. [illegible] გლეხების დახმარებით, [illegible] გახსნეს [illegible] კლუბი.

დონის ნახშირი საბერძნეთში.

ოდესა. 28 მაისი. ახლო ხანში ოდესის ნავთსადგურიდან გავა გემი „პირეი", რომელიც წაიღებს დონის ნახშირის პირველ პარტიას; ნახშირის გაგზავნის მიზანია გააცნოს საბერძნეთის მომხმარებლებს დონის სათბობი მასალა.

ახალგაზრდა გლეხების სკოლები.

მოსკოვი. 23 მაისი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას წევრმა ამხ. შოხინმა განაცხადა, რომ ახალგაზრდა გლეხების სკოლების გახსნით სოფლებში ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მცხოვრებლების კულტურული დონის ამაღლებას. ასეთი სკოლის ჩანასახი უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო წრე, რომელიც აუცილებლად უნდა მოეწყოს ახალგაზრდობის კომკავშირის ყველა სასოფლო უჯრედებში. წრე თანდათანობით უნდა გადაიქცეს ჯერ ერთ წლიან და შემდეგ ნორმალურ 3 წლიან სკოლად, რომელშიაც შევლენ ახალგაზრდა გლეხები.

ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკამ უკვე მიაღწია შეთანხმებას განათლების სახალხო კომისარიატთან სოფელში მეორე საფეხურის სკოლების თანდათანი ლიკვიდაციის შესახებ. ეს სკოლები უნდა იქცეს ახალგაზრდა გლეხების სკოლებათ. 1924 წლის შემოდგომიდან ყოველ მაზრაში აუცილებლათ უნდა მოეწყოს თუნდაც ერთი ასეთი სკოლა; ახალგაზრდობის კომკავშირის ყოველ უჯრედთან სოფელში აუცილებლათ უნდა მოეწყოს სასოფლო სამეურნეო წრე. ეს არის ახალგაზრდობის კომკავშირის მთავარი ლოზუნგები სოფელში პრაქტიკულ მუშაობისათვის.

კომინტერნში

მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

მოსკოვი 23 მაისი. კომინტერნის, პროფინტერნის და ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომები მოწოდებაში, რომელიც მიმართულია საერთაშორისო პროლეტარიატისადმი, აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ხელისუფლებას დაპყრობილ ოლქებში ციხეში ჰყავს დამწყვდეული 100 გერმანელი კომუნისტი და 115 ფრანგი ჯარისკაცები, რომელნიც ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას ეწეოდენ საფრანგეთის ჯარში; ციხეში პირველი მაისის დღესასწაულის მოწყობისათვის მათ სასჯელი გაუდიდეს, ამის გამო ისინი იძულებული იყვნენ შიმშილობა გამოეცხადებინათ.

უცხოეთის ცხოვრება

ბრიტანეთის საიმპერიო გამოფენა

23 აპრილს ინგლისში გაიხსნა საიმპერიო გამოფენა. მთელი ლონდონი მორთული იყო დროშებით. გამოფენას დაესწრო 200 ათასი კაცი. ის გახსნა მთელი ოჯახებით მოსულმა ინგლისის მეფემ, რომელმაც სიტყვაში აღნიშნა გამოფენის მნიშვნელობა, მისი კულტურული სახე და [illegible]ლობა. მეფის სიტყვა რადიოს საშუალებით გადაეცა მთელ მსოფლიოს. 80 წამის შემდეგ კანადიდან, ავსტრალიიდან, ტრანსვაალიდან, სინგაპურიდან, ინდოეთიდან და სხვა ადგილებიდან მოვიდა საპასუხო რადიო იმის შესახებ, რომ მეფის სიტყვა და გამოფენის გახსნის ცნობა მიღებულია ამ ადგილებში. მაკდონალდი არ დასწრებია გამოფენას, რადგან სააღდგომოდ ის იმყოფებოდა საკუთარ აგარაკზე.

გამოფენას დაუკავებული აქვს 300 დესიატინა მიწა; აქ ასეულობით [illegible] ინგლისის ყველა ახალმოშენების [illegible], რომელთაც აქვთ საკუთარი პავილიონი, [illegible] თავის სიდიდით და სიმდიდრით. [illegible] წარმომადგენლები, რომლებიც [illegible].

კანტის დაბადებიდან 200 წლის შესრულების გამო

20 აპრილს შესრულდა 200 წელიწადი ფილოსოფოს ემანუელ კანტის დაბადებიდან. ეს დღე დიდი ზეიმით გადახდილ იქნა მის ქალაქ კენიგსბერგში (გერმანია), სადაც ჩამოვიდნენ თითქმის მთელი მსოფლიოს მეცნიერები. ზეიმობას დ[illegible] მთავრობის წარმომადგენელი, შინაგან საქმეთა მინისტრი დოქტორი იარესი. აქვე იყვნენ გერმანიის ყველა უმაღლეს სასწავლებლების ლექტორები, რიცხვით 200 კაცი და მსოფლიოს ყველა დიდი უნივერსიტეტის წარმომადგენლები: ავსტრიის, შვეციის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, დანიის, ოქსფორდის, მანჩესტერის (ინგლისის), ცინცინატის, ოგაიოს, ამერიკის, არგენტინის, ბრაზილიის, იაპონიის და სხვების. იყვნენ აგრეთვე პოლონეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. ზეიმობამ არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო კანტის სასაფლაოზე, სადაც სიტყვა წარმოსთქვეს ყველა ქვეყნის მეცნიერებმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დღისათვის გამოცემულია დიდძალი წიგნები კანტის შესახებ, 5 ათასი სხვა და სხვა სახის გამოცემა.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ დღევანდელი მთელი ფილოსოფიური ლიტერატურა არის თითქმის ლიტერატურა კანტის შესახებ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

მოსავლის მდგომარეობა

ბათუმი 22 მაისი. მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მიღებული ცნობებით, მოსავალი წელს კარგი [illegible], ამინდიც ხელს უწყობს მოსავლის მდგომარეობას.

საქონლის გაგზავნა ბაქოს ბაზრობაზე

ბათუმი 22 მაისი. აჭარის მიწათმოქმედების კომისარიატმა გაგზავნა ბაქოს ბაზრობაზე საქონლის პირველი პარტია: თამბაქო, ხე-ტყის მასალა, თამბაქოს ნაწარმები და ჩაი, სულ 4 ვაგონი, გაგზავნილი საქონლის საერთო ღირებულება უდრის 60 000 მანეთს.

კოოპერაციის მუშაობა

ბათუმი. 22 მაისი. ცეკავშირმა გაგზავნა ურალში 50 000 ფუთი სიმინდი. დამთავრდა [illegible] 10,000 ფუთის რაოდენობით. [illegible] ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ბრუნვა, რომელიც გამოიხატება 24 000 მანეთით, [illegible] 7000 მანეთით საზოგადოებამ შეისყიდა სახელმწიფო ბანკიდან მანუფაქტურის პირველი პარტია 20000 მანეთის რაოდენობით. მანუფაქტურა კრედიტით მიეცემა მუშებს.

აზერბეიჯანი

ბაქოს ბაზრობა

ბაქო. 22 მაისი. ბაქოს ბაზრობის კომიტეტმა შეიმუშავა საგანგებო [illegible] და ასანთზე [illegible] პროცენტით ბაზრობისათვის ტვირთების გადაზიდვის გასაადვილებლად ამიერ-კავკასიის [illegible] რკინიგზის დირექციის [illegible]. ბაზრობის კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს ადგილობრივი ვაჭრების თათბირი ბაზრობასთან დაკავშირებულ საკითხების გადასაჭრელად. 20 მაისს ბაქოს ბაზრობაზე გადაიზიდა სხვადასხვა საქონელი 49,142 ფუთის რაოდენობით 18 მაისს შესყიდულ იქნა 182 608 ფუთი საქონელი ბაზრობისათვის.

სომხეთი

სამეცნიერო ექსპედიცია [illegible]

ერივანი 22 მაისი. ამხ. [illegible] ხელმძღვანელობით [illegible] 6 [illegible] მოვიდა კავკასიაში სამეცნიერო აკადემიის ექსპედიცია, რომელიც მოივლის ერივანს, [illegible], ახალბაიაზეთის და დარალაგეზის მაზრებს. სახალხო კომისართა საბჭო ყოველმხრივ ხელს უწყობს ექსპედიციას.

პარტიული ცხოვრება

რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობისათვის

კომინტერნის მისალმება.

მოსკოვი, 23 მაისი. ახალგაზრდობის კომინტერნმა მიმართა რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობას მოწოდებით, რომელშიაც ხაზგასმულია, რომ [illegible] ახალგაზრდობა ერთსულოვნად გამოვიდა პარტიის სხვადასხვა თაობის ერთიმეორისათვის დაპირისპირების წინააღმდეგ. ძველი და ახალი თაობა სრული თანხმობით უნდა მუშაობდნენ ძველი ბოლშევიკური გვარდიის პოლიტიკური ხელმძღვანელობით.

მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები ყველა საკითხებში სავსებით მიემხრნენ რ. კ. პ. ცეკას უმრავლესობის ხაზს.

მისალმება იაპონიის კომპარტიისაგან.

მოსკოვი, 23 მაისი. რუსეთის კომპარტიის ყრილობისადმი მისალმებაში იაპონიის კომპარტია უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამს რ. კ. პ. რევოლუციონური სიმტკიცის ლენინის ანდერძისადმი ერთგულების და რუსეთის კომპარტიის ცეკას დროს შიგ ერთსულოვანი შეკავშირების გამო.

სამთო მადნო მუშები არ დაივიწყებენ ილიჩს.

მოსკოვი, 23 მაისი. მოსკოვში ჩამოვიდა ანჟერო-სუჯენსკის მაღაროების (ტომსკის გუბერნია) უპარტიო დელეგაცია, რომელმაც ჩამოიტანა ნახშირიდან და კოქსიდან ხელოვნურად გაკეთებული გვირგვინი, რომელსაც მუშები [illegible] სამ [illegible] გამოფენაში. გვირგვინზე ასეთი წარწერაა: „სამთო მადნო მუშები არ დაივიწყებენ ილიჩს".

პარტიის და კომკავშირის საერთო საქალაქო კრება თელავში

1924 წ. 16 მაისს შესდგა კომპარტიის და ახკომკავშირის წევრთა საქალაქო გაერთიანებული კრება, ამხ. [illegible] მოსიაშვილის თავმჯდომარეობით დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა და
2. ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობა თელავის რაიონში და კავშირის მორიგი ამოცანები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible], რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა კაპიტალისტური სახელმწიფოების მდგომარეობა, გერმანელ ფაშისტების თავდასხმა ჩვენს წარმომადგენლობაზე ბერლინში და სხვა.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც სრულებით მიზანშეწონილად სცნობს ჩვენი პარტიის და მთავრობის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკას. ახალგაზრდათა კომკავშირის თელავის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და კავშირის მორიგ ამოცანებზე მოხსენება გააკეთა თელავის ახკომკავშირის მაზრკომის მდივანმა, ამხ. ი. ფრანგიშვილმა. კომკავშირის თელავის რაიონის ორგანიზაცია აერთიანებს 7 უჯრედს, მათში 4 საქალაქო და დანარჩენი 3 სასოფლო. აღნიშნულ უჯრედებში ირიცხება სულ 84 წევრი. ორგანიზაციაში წარსულ წლის დეკემბრამდე ირიცხებოდა 1 ქალი, ეხლა კი 8. საქალაქო ორგანიზაციაში გატარებულია პოლიტ-განათლების მთლიანი სისტემა. მუშაობს პირველი კატეგორიის ორი პოლიტიკური წრე და მეორე კატეგორიის ერთი. მეცადინეობაში მონაწილეობას იღებს უპარტიო ახალგაზრდობაც. არსებობს პროფ კოლექტივი. კლუბის მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებელია; ხშირად იმართება უფასო წარმოდგენები (კლუბთან არსებულ დრამწრის მიერ). არსებობს ლიტწრე, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, „ლენინის კუთხე", და ელექტრო ტეხნიკის შემსწავლელი წრე. სოფლის 3 უჯრედებში გადიან მეცნიერულ და პოლიტსაუბრების კრებულს, საქალაქო ორგანიზაციიდან მიმაგრებულ ამხანაგების ხელმძღვანელობით. სამივე სოფლებში ყოფილი ეკლესიები გადაკეთებულია თეატრებათ. ჩატარებულ გაწმენდის დროს კავშირიდან გარიცხულია 18 კაცი. ტეხნიკუმების მოწაფეთა შორის წაკითხულ იქნა საინტერესო თემებზე მოხსენებები, ტარდება საუბრები შრომის სკოლებშიც და მაღალ ტიპის სკოლის მოწაფეთა შორის. არსებობს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები, რომელშიაც ირიცხება 100 მეტი ბავშვი. მომზადებულია ნიადაგი ფიზკულტურის წრეების დასაარსებლად. პროფორგანოებში კომკავშირს ჰყავს თავისი წარმომადგენლები. არის მჭიდრო და საქმიანი დამოკიდებულება აქ მდგომ წითელ არმიის ნაწილებთან. წვევამდელთა შორის სწარმოებს შესაფერი მუშაობა. ახალგაზრდა რკინიგზელი მუშები მჭიდრო კავშირში. კავშირის წევრებში გადადგმულია ნაბიჯები პროლეტარული ეთიკის და ახალ ყოფა-ცხოვრების შესისხლხორცებლად.

სხვათა შორის ადგილობრივი პედაგოგების და ინტელიგენტებისაგან დაარსებულია ათეისტთა კოლექტივი. კომუნისტურათ მონათლა რამოდენიმე ბავშვი და სხვა.

მოხსენების შემდეგ საქალაქო კრებამ რეზოლუციაში აღნიშნა კომკავშირის მუშაობის გაღრმავება და წარმატება და ის ამოცანები, რომელიც უნდა დაისახოს თელავის ორგანიზაციამ ადგილობრივი სპეციფიური პირობების მიხედვით.

გ. კაკაბაძე.

ინფორმაციულ ანგარიშების დამუშავება-გადმოგზავნის შესახებ

ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი მუშაობის ამ დარგს, მას უეჭველად ეცოდინება, რომ მიუხედავად მრავალი ღონისძიებებისა [illegible] ეს მეტად საჭირო და აუცილებელი მხარე ჩვენი მუშაობისა, ის მაინც სავსებით ვერ არის მოწესრიგებული. მართალია ზოგიერთი მაზრები, როგორც მაგალითად [illegible] მოწესრიგება და სისტემაში მოყვანა მასალებისა და მათი თავის დროზე მოწოდება ცეკასთვის და სხვა მიღწეულია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ყოველგვარ ინფორმაციას მაშინ აქვს ღირებულება, როდესაც ის ნამდვილი და სწორია, როდესაც ინფორმაცია ასე ვსთქვათ სინამდვილის ანარეკლია. ინფორმაციულ ანგარიშის [illegible] მკითხველს უნდა შეეძლოს [illegible] წარმოდგენის შედგენა ამა თუ იმ მაზრის ან ოლქის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ხოლო თუ ინფორმაცია ერთს გვაუწყებს და ადგილობრივ კი სულ სხვა მდგომარეობაა არის, ამასთანა ინფორმაცია არაფრად არ ღირს და მას შეცდომაში შეყავს ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც [illegible] დაყრდნობით იმ მასალებზე და მათ მიხედვით ისინი აკეთებენ ამა თუ იმ დასკვნებს, იმუშავებენ დირექტივებს, ინსტრუქციებს და სხვა. არა სწორი ინფორმაციის წყალობით კი ადვილად შესაძლებელია ესა თუ ის ინსტრუქცია და დირექტივები სრულებით არ მიუდგეს მაზრის ან ოლქის სინამდვილეს, ამით კი მეტად ფერხდება პარტიის და მთავრობის მუშაობა.

ზოგიერთი ჩვენი ინფორმატორები ცდილობენ ყველაფერი „რიგზე" გვაჩვენონ, თუმცა სინამდვილე სულ სხვას ლაპარაკობს. ამის [illegible] უნდა [illegible]. თუ ერთი ანგარიშების მაგივრად უკანასკნელ დროს შემოღებულ იქნა ორთვიური ანგარიშების გადმოგზავნა. ინფორმატორი უნდა ცდილობდეს არა მარტოდ იმის აწერას, რაც გაკეთდა ან ვთქვათ ვერ გაკეთდა ამ ორი თვის განმავლობაში, არამედ ის უნდა შეეცადოს კონკრეტული ფაქტებით [illegible] ის, რაც [illegible], რაც გაკეთდა, ანგარიშს თან დართული უნდა ჰქონდეს [illegible] ცოცხალი ილუსტრაცია, რომ სურათი სრული იქნეს. ამას კი ჩვენ იშვიათად ვხვდებით საინფორმაციო ანგარიშებში. [illegible] რამოდენიმე მაგალითს.

ავიღოთ დუშეთის მაზრის კომიტეტის ანგარიში. ამ ანგარიშში საერთოდ ბევრი რამ არის სინამდვილისგან დაშორებული დამახინჯებული [illegible] სიტყვები, რომლებიც საქმის მდგომარეობის სურათს სრულებით არ იძლევიან. მაგალითად სწერია: „მაზრაში პროფკავშირების მუშაობა დამაკმაყოფილებელია" რაში მდგომარეობს ეს „დამაკმაყოფილებელი" [illegible]. საჭირო იყო [illegible], თუ რამდენი კრებები [illegible], საზოგადოთ თუ [illegible], ხდება თუ არა ლიკვიდაცია [illegible] ან შენობების საკითხი, სწარმოებს თუ რა კულტურული მუშაობა წევრთა შორის და სხვა. ასეთი ცნობები [illegible] მუშაობის შესახებ, მილიციის, [illegible] და სხვათა შესახებ.

ავიღოთ უფრო საგულისხმო ფაქტი. სამხრეთ ოსეთის [illegible] ინფორმაციულ ანგარიშში არაფრით არ განსხვავდება მარტ აპრილის ინფორმაციული ანგარიშიდან, ამ ანგარიშებს თუ შეადარებთ, განსხვავებას მხოლოდ იმაში ნახავთ, რომ ერთი დაწერილია მარტში, მეორე კი მაისში. რაშია საქმე? ინფორმატორი [illegible] სრულებით არ აწერს თავის [illegible] კონკრეტულ ცნობებს, ოღონდ კი დასწეროს რამე და [illegible] ის სინამდვილესთან [illegible] ამაზე ის არ [illegible]. მუშაობის [illegible] გადმოცემა [illegible] ანგარიშში [illegible]. ასეთი [illegible] უგულისყურობა და საქმის [illegible] დაუშვებელია.

ინფორმაციის საქმე [illegible] ყურადღება მიექცა [illegible] კომპარტიის მე 13 კონფერენციაზე. ამის შემდეგ კი ასეთი [illegible] რომ არა ვთქვათ [illegible] დანაშაულია. ამ გარემოებაზე მივაქცევთ ადგილებზე ამ დარგში მომუშავე ამხანაგების ყურადღებას; ამიერიდან მაინც უკუვაგდოთ ასეთი უგულისყურობა, [illegible] „შაბლონი" [illegible] ჩვენს ინფორმაციულ ანგარიშებს საერთოდ.

ზ. ქურიძე.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

საგარეჯოში კვირაში ერთხელ შაბათობით [illegible] იმართება პარტიული კრებები საგარეჯოს კომუჯრედის მდივნის ამხ. გ. [illegible]ს ხელმძღვანელობით, როგორც დახურული, აგრეთვე ღია. საუბარი იმართება სხვადასხვა საკითხებზე სახელდობრ: დღევანდელი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა, ფულის რეფორმა და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს ღია კრებებს, სადაც ესწრება პარტიულების გარდა უპარტიოებიც, (ინტელიგენცია, გლეხობა და მუშები). ამ ღია კრებებზე აკეთებენ მოხსენებებს სკოლის გამგე, გლეხკომი, საბჭო, აგრონომიული პუნქტი, სავეტ. პუნქტი და სხვა, უსწორებენ ერთმანეთს შეცდომებს თუ ასეთი არის და ამ თემაზე საბჭოთა [illegible] სათანადო სიმაღლეზე აყენებენ.

კვირაში ერთი დღე დათმობილი აქვს პარტკოლექტივს სხვადასხვა თემებზე, რომელიც იმართება ხოლმე ამხ. [illegible] სახელობის კლუბში ამხ. გ. [illegible]ს ინიციატივით. ამავე კლუბში იმართება ახალგაზრდათა კომკავშირის დრამატიული წრის მიერ წარმოდგენები, რომელსაც მრავალი ხალხი ესწრება; მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს წარმოდგენების გამართვა შეჩერდა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

გ. გარსიაშვილი.

მენშევიკური ბანდიტიზმის მსხვერპლთა ხსოვნას

ამხ. ნ. ქიტიაშვილი, ლეონ უსჭურიშვილი და ფ. შოშიაშვილი

18 მაისს კომპარტიის ლაგოდეხის რაიონის ორგანიზაციამ ღირსეულად აღნიშნა დაღუპულ ამხანაგთა ნიკა ქიტიაშვილის ლეონ უსჭურიშვილის და ფილე შოშიაშვილის ხსოვნა. ამ ამხანაგებს კარგათ იცნობენ სიღნაღის და ზაქათალის პარტ ორგანიზაციები და მშრომელი გლეხკაცობა საქართველოში მენშევიკების თავაშვებული ბატონობის დროს [illegible] მშრომელი მასა [illegible] სწორედ მაშინ ლაგოდეხის რაიონში იწყებენ რევოლუციონერ მუშაობას ამხ. ნიკა და ლეონ, და იბრძვიან მშრომელი გლეხკაცობის მენშევიკთა უღლიდან განთავისუფლებისათვის. მენშევიკების გვარდია დევნის მათ, ცდილობს მათ დაჭერას, [illegible] ამხანაგები გადავიდნენ აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ზაქათალის საოლქო პარტორგანიზაციამ დაავალა ნიკას და ლეონს ლაგოდეხის რაიონში წასვლა და საზღვარზე მდგომ მენშევიკური ძალების გამორკვევა. ნიკამ და ლეონმა პირნათლად შეასრულეს დავალება და გამოემგზავრნენ ზაქათალისაკენ, ეს იყო 1921 წ. 30 იანვარს დილისით ნიკა და ლეონ დარჩნენ ზაქათალის ოლქში, ერთ-ერთ სოფელ [illegible], სადაც დამით ძილის დროს [illegible] მიეპარნენ და მძინარეებს დაახალეს თოფები [illegible] ტყვიები და ისე დაცხრილეს ამ ამხანაგების გვამები, რომ საშინელ სურათს წარმოადგენდნენ. ზაქათალის ოლქის პარტორგანიზაციამ მიიღო ზომები ამ საქმის გამოსარკვევათ, შეეცადა გამოერკვია თუ ვინ იყვნენ დამნაშავენი. ამხანაგების [illegible] ხელი ჯაჭვის ნაწილი შეპყრობილ იქმნა და აღმოჩნდა რომ მკვლელობაში მონაწილეობა მიუღიათ ქართველ მენშევიკებს და აზერბაიჯანის მუსავატელებს. ნიკას და ლეონის გვამები დასაფლავებული იყვნენ ზაქათალში, [illegible] მეოთხე წელია.

ამხ. ფილე შოშიაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ენერგიულად მუშაობდა ლაგოდეხის რაიონის კომკავშირის ორგანიზაციაში. ბანდიტმა მენშევიკებმა ამხ. ფ. შოშიაშვილი 1923 წ. 18 მაისს გაიტაცეს ტყეში და წამების შემდეგ ტყვიით განგმირეს მისი ჯერ კიდევ ნორჩი გული.

ასე გამოაკლდა ჩვენს რიგებს სამი ძვირფასი ამხანაგი.

ნიკას და ლეონის ნეშტი გადმოტანილ იქნა ზაქათალიდან და ამხ. ფ. შოშიაშვილთან ერთად დასვენებულ იქნენ ძმათა სასაფლაოზე. ლაგოდეხის ორგანიზაცია გადაწყვიტა მენშევიზმთან ბრძოლაში დაღუპული ამ სამ ამხანაგთა ხსოვნის საპატივცემლოთ აღმართოს მათ საფლავზე შესაფერი ძეგლი სათანადო წარწერით, რათა მათი ღვაწლი [illegible] წყარო დარჩეს მშრომელთა მასებს.

ამხ. ნოგინის გარდაცვალება

მოსკოვი. 23 მაისი. 22 მაისს, დილის 4 საათზე, მძიმე ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა საქსოვი სინდიკატის თავმჯდომარე, რუსეთის კომპარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრი ამხ. ნოგინი.

ამხ. კრასინი ამხ. ნოგინის შესახებ.

ამხ. ნოგინი

მოსკოვი. 23 მაისი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კრასინმა ამხ. ნოგინის გარდაცვალების გამო განაცხადა: „ჩვენ დავკარგეთ [illegible] კავშირის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის კომპარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრი და დამაარსებელთაგანი. ამხ. ნოგინის ცხოვრება იყო განუწყვეტელი ბრძოლა მუშებისა და გლეხების საქმისათვის. მეფის ციხემ და გადასახლებამ ვერ შეასუსტა ამხ. ნოგინის რევოლუციონური ენერგია. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხ. ნოგინი იყო შრომის სახალხო კომისარი, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ხოლო შემდეგ სათავეში ჩაუდგა საფეიქრო მრეწველობას. ამხ. ნოგინი უშუალოდ იყო დაკავშირებული მუშათა მასებთან. ის საყვარელი და პატივცემული იყო ყველასათვის, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია".

ეკონომიური ცხოვრება

საბირჟო კურსი თბილისში.

(24 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

ინგ. სტერლინგ. ფუნტი	8 მ. 43 კ.
„ ჩეკები	— 7 მ. 80 კ.
ამერიკ. დოლარი	1 მ. 94 ნახევ კ.
„ ჩეკები	— 1 მ. 78 ნახ კ.
თურქ. ოქრ. ლირა ეფ.	— 28 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრანკი ფრან. 100 ცალი	9 მ. 50 კ.
ოქროს მანეთი	12 500 მილიონი.

[illegible] ფასები.

(24 მაისი)

პური 5 დ 5 ნახ კაპ., თეთრი ფქვილი 10 კ. ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კ., შაქ. ფხვნილი—25 ნახ. კ., ერბო შელი—18 კ., კარტოფილი—2 კ., საპონი „ტოლლე" 22 კაპ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(24 მაისი)

პური 1 ხარ.—7 მ კ., პური 2 ხარ. 5 ნ. ხ.-6 კ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინ.—34 კაპ. შაქარი ფხვნილი—26 კაპ, კარტოფილი—3 კ., მაკარონი—18 კაპ., ბრინჯი ადგ 13-14 კაპ.

ბირჟის მიწოდება

„ნოვტრესტორგ"-ის პროდუქცია (ასანთი, კარტონი, ქაღალდი, პერგამენტი, ფანჯრის მინა ტომრები და სხვ.) მზესუმზირას ზეთი, გუდრონები ([illegible]), სანთელი, „ქიმფილი"-ს პროდუქცია, გოგირდი „ბუდა", ჩაი (ცეილონის და ჩინეთის), თევზი (ვობლა), „ცარპიტორგ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, სახ. მეურნ. საბჭოს საშნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პერფუმ" და ტუალეტის, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „კრაიტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ.), შაბიამანი, სელის ოლიფი, მავთული მარტენის, სალესავი მანქანები (მოწყობილობით), თავა (შეკრული) ვაგონებით, წერაქვები, თოხები და ბარები, საშენებელი ლურსმნები, სალომახი, ყუბანის ფქვილი.

ბირჟის მოთხოვნილება.

მზესუმზირას ზეთი, პორტლანდ ცემენტი, ასანთი, „სამოლიოტ", [illegible] ქაღ. მანუფაქტურა, ფანჯრის მინა (ბემის), თხილი ზ. ქართლის, [illegible] სანთელი და სალესავი მანქანები, ჯაგარი, ნედლი ტყავეულობა, [illegible] და მიტკალი შაქარი რაფინადი [illegible] ფხვნილი, ქვა-მარილი ნახიჩევანის.

ოფიციალური გარიგებანი.

სპილენძის მავთული—(ელექტ[illegible]) 35 და 25 მილიმეტრი—34 მ. 10 მილიმ.—32—50 კ. ფუთი სადგ. ქუთაისი.

სხვა და სხვა [illegible]—2632 მ.ნ. 15 კაპ. [illegible] ფრანკო გამყიდველის საწყობი.

შაქარი ფხვნილი. (2 გარიგება) 10 მ.ნ. 15 კ. ფუთი, ფრანკო „საქტრესტ"-ის საწყობი.

[illegible]—9 კ. ცალი, ფრანკო სადგ. [illegible] ვაგონი.

ტილო გასახვევი—24 ვერშოკიანი 28 მ | 4 კაპ. არშინი.

ტომრები. 32 ფუთიანი 67 კაპ. ცალი, ფრანკო გამყიდველის საწყობი ბათუმში.

პორტლანდის ცემენტი—(2 გარიგება)—8 მან 75 კ. კასრი, ფრანკო ბათუმი—ვაგონი.

[illegible] კრასნოდარის—9 მან [illegible] ფუთი, ფრანკო გამგზავნის სადგ.

ბირჟის გარიგების ბრუნვა

1 მაისიდან 20 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 227 გარიგება 781708 მ.ნ. 21 მაისს—41 გარიგება—150256 მან. სულ 20 მაისამდე—268 გარ.—931959 მან.

საქონლის ბაზრის [illegible]

შაქრის, პურეულის და [illegible] ბაზრებზე—გაცხოველებულია. სა[illegible] ნებელ მასალების ბაზარზე—გაცხოველებულია ცემენტზე, დანარჩენ [illegible] რებზე უცვლელია.

ა.-კავკ. საავიაციო საზოგადოებაშ

ა/კ. საავიაციო საზოგადოების გამგეობა საზოგადოების დამფუძნებელ კრების მიერ დასახულ ამოცანების შესრულებას შეუდგა მიმდინარე წლის 8 იანვარს. ამ ხნის განმავლობაში დაწყებულია და ალაგ ალაგ შესრულებულიც ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში აეროდრომებისა და საავიაციო მოედნების მოწყობა-აშენება. ასეთი მუშაობა სწარმოებს ქუთაისში, სოხუმში, ერივანში, ლენინაკანში, გორში, ხაშურში, ზუგდიდში, ფოთში, მანგლისში, ახალციხეში, ახალქალაქში, კარაკლისში და ცხინვალში. მუშაობას ხელმძღვანელობს „ზაკავია"-ს გამგეობა.

ტფილის-ბაქოს და ტფილის-სუხუმის ხაზებზე უკვე მოწესრიგებულია ტელეფონისა და ტელეგრაფის კავშირი, რომლის საშუალებით სათანადო დაწესებულებებს და პირთ ყოველ წუთს ექნებათ ცნობა ამა თუ იმ პუნქტიდან ჰაეროპლანის გამოფრენის და მოძრაობის შესახებ. მოწესრიგებულია აგრეთვე ამინდის გამომცხადებელი აპარატი: ავიატორს ყოველ წუთს ექნება ცნობა მისი მოძრაობის ხაზზე და დანიშნულების პუნქტში არსებულ ამინდის შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს ხიფათის თავიდან აცილებას.

„ზაკავია"-ს ოფიციალურათ აქვს „იუნკერს"-ის სისტემის სამი ჰაეროპლანი. მათი ექსპლოატაციის დასახასიათებლად საინტერესოა შემდეგი ციფრები. ორმა ჰაეროპლანმა „ბოლშევიკ"-მა და „მუშ[illegible]"-მ ა. წ. 15 მაისიდან შეასრულეს 148 მოგზაურობა, ჰაერში გაატარეს 164 საათი და 15 წუთი, გაიარეს 33[illegible] კმ მანძილი და გადაიყვანეს [illegible]ნის ოთხას ოთხმოცდა სამი მგზავრი. ჰაეროპლანების ექსპლოატაცია [illegible] ტეხნიკის მოთხოვნილების ზედმიწევნითი შესრულებით: [illegible]ტები დროულად იცვლება, [illegible] თილი ნაწილები დაუყოვნებლივ [illegible] ვლება და სხვა. საზოგადოების [illegible] გეობა სისტემატიურად აძლევს [illegible] სტატისტიკურ ცნობებს თავისი [illegible] ბის შესახებ. განსაზღვრულ [illegible] მასალა ეგზავნება შრომის და [illegible] დაცვის საბჭოსთან არსებულ [illegible] ქალაქო ავიაციის საბჭოს [illegible] ერო ფლოტის სამმართველოს [illegible] პექციას.

სწარმოებს წინასწარი [illegible] ჰაეროპლანების გამოყენების [illegible] კულტურულ სამეურნეო მიზნით, სახელდობრ: ჰაერო ფოტოგრაფიის განვითარებისათვის, კინო-ლენტების დამზადებისათვის, სოფლის [illegible] ფლო მეურნეობის მავნებლებთან [illegible] ლისათვის და სხვა.

საზოგადოება ამზადებს ავიატორთა კადრს, რისთვისაც დაარსდა სათანადო კურსები.

—„ზაკავია"-მ შუამდგომლობა [illegible] ძრა მთავრობის წინაშე ამიერ კავკასიაში ყველა ჰაეროპლანების [illegible] ვია"-ზე გადაცემის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

— ცენტრალური რაიონის [illegible] ტრო ტრესტმა დაადგინა შევიდეს წევრათ ა/კ. საავიაციო საზოგადოებაში და საწევრო თანხით [illegible] ნოს ერთი ჰაეროპლანის [illegible] ზა.

ავადმყოფოები და სანიტარია თბილისში

...ფო დამხმარე სადგური

...ფო დამხმარე სადგურმა სა... 1923 წლის განმავლობაში ...ში აღმოუჩინა ბინაზე 1 139 ... სადგურის სტოლებმა გა... საავადმყოფოებში 1.142 ... ყველაზე მეტი დახმარე... ავადმყოფთა აღმოუჩინა ... (422 სულს) შემდეგ ... (127 ავადმყოფს) და ...ში (119 ს) დახმარებას ... (საპროფკავშირო დისპანსე... სული), შემდეგ მოწამლულე... სული) გადაყვანილ იქნა ... მეტი: მესამე უბნიდან (227 ... მე 9ე უბნიდან (186 კაცი)

...ინფექციური კამერა.

... ინფექციო კამერამ საანგა...ის განმავლობაში გააკეთა ... დეზინფექცია ბინაზე. აქედან ...ბანში — 77, პირველ უბანში ...

...ტანილ იქნა 256 ფუთი. ამა... მე-6-უბნიდან — 58, მე—2—80, 28 და სხვა.

...რომ გააკეთა აგრეთვე ფასიანი ...ფექცია — 228 ფუთი და 28 ...ტა ძონძზე, და 215 661 ...ზე, ფუთისით კი 28 ფუთის ... ცალ ნივთზე დეზინფექცია ...ულ ბინებში 437, ... 5 ავა...ების მორჩენის შემდეგ — 192, ...მყოფოში გადაყვანის შემდეგ ..., გარდაცვალების შემდეგ — 100 ...მ საავადმყოფოში გადაყვანა ...ავადმყოფი.

...ის ქიმიური ლაბორატორია.

...ქის ქიმიური ლაბორატორია ...და ეხოლოდ ენკენისთვემდე: ...ის განმავლობაში მან გააკეთა ... ნიმუშის ანალიზი. აქედან კარ...ხარისხის აღმოჩნდა 1 186 და ...სი 1 206 ანალიზთა საერთო ...ში რძის რძეც, რომლის რა...ობა 1.607 ნიმუშს უდრიდა.

...ის ანალიზის დროს აღმოჩნდა ...ნი წმინდა რძე — 689, ოდნავ ...ლი — 89, მოხდილი — 318, ნარ... მეტად მოხდილი — 123 წყალ...ული — 195, წყალგარეული და ...ილი — 154 წყალგარეულ და ...ზე მეტად მოხდილი — 49.

...ულგარეულ რძის ნიმუშს რაო...ობა უდრის 398 ს აქედან ... წყალი — 10 — 25 პრო...ტამდე — 250; 25 — 50 პროცენტამ... 148 — სულ — 398.

...ლაბორატორიის მიერ შედგენი... 208 ოქმი, ჩამოერთვა ზედ...ლი კარგი ხარისხით სურსათით ...რობის შესახებ 14 ვაჭარს.

...მოყვანილი ანგარიში გვი...ნებს, რომ ქალაქის ჯანმრთელო...ს განყოფილების მიერ, როგორც ...მრთელობის დაცვის დარგში, ისე ...ტარიის მხრივ დიდი მუშაობა ...ა შესრულებული.

...გადიდდა აგრეთვე ...ვო დახმარების საქმე. განსაკუ...რებით სიფხიზლით ადევნებს თვა... მოვაჭრეობის სანიტარულ მდგო...ეობა, რომლის შედეგად ... 1923 წელს ...ეთ დიდ მიღწევად ჩაითვლება ... გარემოება, რომ მუშა-მოსამსახუ...ა და ღარიბ მოქალაქეთა ნაწილი ... უფასოდ სარგებლობს საექიმო დახმარებით. აღნიშნული ზომები, ცხადია ... შეუწყობს ჯანმრთელობის გაუ...ობესებას, რაც თბილისის მდგომ...ის ერთერთ მთავარ ამოცანას ...დგენს.

სტაციონალური ავადმყოფნი.

სტაციონალური ავადმყოფთა რაოდენობა გასულ წელს უდრიდა 31 132 კაცს. აქედან დედაკაცი იყო 15.735, ხოლო მამაკაცი — 15 397-ს. როგორც ვხედავთ აქაც დედაკაცები სჭარბობენ.

სტაციონალურ ავადმყოფთა განხილვა ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის, დიაგნოზის და სხვ. მიხედვით იძლევა ისეთ სურათს, როგორც ამბულატორიულ ავადმყოფთა განხილვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოებში ავადმყოფთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. იყო დრო, როდესაც პაციენტები ჯავრილით და წითელმათი დაავადმყოფებულებს საავადმყოფოებში არ გზავნიდნენ, ეხლა კი ასეთ შემთხვევას ადგილი არა აქვს თუ აქვს იშვიათად.

ქვემომოყვანილი ცნობები გვიჩვენებს საავადმყოფოებში ავადმყოფთა ყოველწლიურ ზრდას:

1922 წელს. ავადმყოფთა საერთო რიცხვი უდრიდა 67 513 ს ამათში წამლობდა 14 780 ავადმყოფი. ე. ი. 23,2 პროცენტი, ხოლო 1923 წელს ავადმყოფთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 107 840-ს, რომელთაგან წამლობდა 81,997 კაცი ე. ი. 30,0 პროცენტი.

როგორც ვხედავთ, 1923 წელს ავადმყოფთა რაოდენობა საავადმყოფოებში — 6,8 პროცენტით გაზრდილა.

ავადმყოფობა ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა მე 6 უბანში (ყოველ 1000 სულზე ავადმყოფი 824 6) მე 5 ე (ყოველ 1000-ზე ავადყოფილა 657 8 და მე-8 ე უბანში (1000 მოქალაქეზე მოდის 549 ავადმყოფი).

ეს გარემოება შეიძლება აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ უბნებში ნაკლებით შეძლებული მოქალაქენი სცხოვრობენ.

გარდა ამისა, ხსენებულ უბნებში სანიტარული პირობების მხრივ ცუდათ არიან მოწყობილნი.

სანიტარული ექიმების მოქმედება.

1923 წლის განმავლობაში სასანიტარო ექიმებმა დაათვალიერეს 83 616 ეზო, ბინა, სავაჭრო დაწესებულება და სხვა აქედან სანიტარიის მხრივ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა 65 527, არადამაკმაყოფილებელი 16089 ადგილი. უწყება გაეგზავნა 8819 მოქალაქეს, ... სანიტარულ რეჟიმში — 8 843 შემთხვევა, შედგენილ იქნა 281 ოქმი.

გარდა ამისა სანიტ. ექიმებმა აღმოაჩინეს 604 მწვავე გადამდებ სნეულებით ავადმყოფი, რომელთაგან საავადმყოფოში გაიგზავნა 81.

1923 წლის განმავლობაში სასანიტარო ექიმებმა ანალიზისათვის ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში გაგზავნეს 258 ფ და 8 გირ. სხვადასხვა სურსათ სანოვაგის ნიმუში. ამაში კარგი აღმოჩნდა 28 ფუთი, უვარგისი 57 ფუთი. დანარჩენებზე პასუხი არ არის, ვინაიდან ლაბორატორია მუშაობდა ეხოლოდ ენკენისთვემდე.

სანიტარულ ექიმების განკარგულებით უვარგისობის გამო ბაზრიდან სრულიად გაძევებულ იქნა 694 ფუთი და 34 გირვანქა, 118.682 ბოთლი, 1,405 ცალი სხვადასხვა საჭმელ-სასმელი. გამოცხადდა გაფრთხილება 82 ვაჭარს. შეუდგინეს ოქმი — 4 ვაჭარს.

ჩვენი საავადმყოფოების მდგომარეობა

(საუბარი ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო განყოფილების გამგე ამხ. გოცირიძესთან)

ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო განყოფილების გამგე ამხ. გოცირიძემ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს საავადმყოფოების მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

ჩვენს საავადმყოფოებში კვების საქმე ვერ არის კარგად მოწყობილი. ამას თავისი მიზეზები აქვს. საავადმყოფოების ნივთიერი მხარე არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა მცირეა და იმ თანხებსაც, რომელიც ჩვენ განკარგულებაშია გადადებული, ხშირად დროზე ვერ ვიღებთ. თითო საწოლზე ავადმყოფის საკვებად ჩვენ გვეძლევა 20 კაპ. მაშინ, როდესაც საავადმყოფოს საშუალო ... არა ნაკლებ 42 კაპ. სინათლეზე იხარჯება 12—13 კილოვატი (თითო საწოლზე თვეში) მაგრამ ნორმის მიხედვით კი ჩვენ თითო საწოლზე გვეძლევა (შეღავათად) 15 კილოვატის ფასი, წყალი იხარჯება დღეში (თითოზე) 16 ვედრო, გვეძლევა კი 8 ვედრო. სამკურნალო განყოფილებამ წამლეულობის შესაძენად (თითო ავადმყოფისთვის) წარადგინა 22 ერთი ... კაპ მაგრამ ეს თანხა შემცირდა და დღეს თითო საწოლზე გვეძლევა 10 კაპ ეს მდგომარეობა მეტად აფერხებს ჩვენს საქმიანობას; შესაფერი მასალა არა გვაქვს, რის გამო დავხურეთ ზოგიერთი ამბულატორიები. არც შემცირებულია სხვა საგნებიც, შეშა, ნავთი, საპონი და საერთოდ სხვა სამეურნეო ხარჯები. თეთრეულობის ... ნაკლებობაა.

მკურნალთა შემადგენლობის ჯამაგირებს რომ გადავავლოთ თვალი, მივიღებთ შემდეგ სურათს. მაგალითად, ორდინატორი ექიმი თვეში ღებულობს — 33 მან. ავადმყოფთა მომვლელი, მოწყალე დები თვიურად ღებულობენ 18 — 19 მან. ხოლო დაბალი მუშა მოსამსახურენი კი — 13 მან.

საავადმყოფო შენობებში ცხოვრობენ ბევრი ისეთი კერძო პირები, რომელთაც არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვთ საავადმყოფოებთან, საჭიროა მათი განდევნა ამ ბინიდან სამკურნალო განყოფილებამ გადაწყვიტა: საავადმყოფოებთან მოაწყოს ... საავადმყოფოები — ფასიანი საწოლებით და აქედან მიღებული ფულით დაფარონ ზოგიერთი ნაკლებობა ჩვენი შტატის საავადმყოფოს. ეს საწოლები, რასაკვირველია, მიმატებული იქნება და არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს იმ პირთათვის, ვინც უფასოდ მკურნალობს. ახალი საწოლები შეინახება სამეურნეო ანგარიშზე, მაგრამ ეს საშუალება არა კმარა. საერთოდ საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა როგორც კერძო თაოსნობა, ისე სახელმწიფოს დახმარება.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში

სატარიფო შეთანხმება გაზეთების რედაქციებთან

ცენ. გამგეობის სხდომაზე მოისმინეს იქნა ამხ. გეგენავას მოხსენება გაზეთების რედაქციებთან სატარიფო შეთანხმების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი სატარ. შეთანხმების დასადებად ბეჭდვითი მუშაკთა სექციის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული იქნა ახალი პროექტი.

პროექტით ხელფასის მინიმუმი არის 15 მანეთი 1 : 5 შეფარდების დროს.

გამომცემლობათა მომუშავეთათვის ტარიფიკაცია იგივე რჩება, — 1 : 8 შეფარდება. შრ. სახ. კომ. შეთანხმების რეგისტრაციაში გატარებაზე უარი განაცხადა და წინადადება მისცა სატარ. განყოფილებას ხელფასის მინიმუმი 12 მანეთამდე დაეყვანა. განყოფილება იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო.

განათლების მუშაკთა აგარაკებზე.

ამავე სხდომაზე მოისმინეს იქნა ამხ. გეგენავას მოხსენება კურორტების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახლების დასაქირავებლად აგარაკებზე, ავადმყოფთა გასამგზავრებლად და სხვა საჭიროებისთვის ხარჯები გათვალისწინებულია 80000 მანეთით. ამ თანხის უდიდესი ნაწილი წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი. კოჯორში კავშირს უკვე აღებული აქვს 44 ოთახი, ცემსა და წაღვერში — 23 ოთახი, ბორჯომსა და ბაკურიანში კავშირს დაეთმო სასწავლებლის შენობები. ქობულეთში აღებულია 3 ოთახი საჭიროა ავადმყოფებისათვის ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობების შექმნა.

მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად მოეწყო ადგილკომების პასუხისმგებელ მდივანთა თათბირი. აგარაკებს მიეცათ აგრეთვე დეტალური ინფორმაცია დასასვენებელ სახლების შესახებ.

ცენ. გამგეობამ ამხ. გეგენავას მოხსენება მიიღო ცნობად.

გან. სახ. კომ—მის ფონდები.

ცენ. გამგეობის სხდომამ მოისმინა მოხსენება გან. სახ. კ—მის ფონდების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფონდების შესამცირებლად დანიშნულმა კომისიამ სახ გან. კ—მის მიმართ შესაძლებლად სცნო ფონდების შემცირება მხოლოდ 5 600 მანეთი, ე. ი. საერთო ფონდის, — 2,3 პროცენტით.

სულ საჭირო იყო ფონდების 10 პროცენტით შემცირება — ე. ი. 25000 მან. მეტი შემოკლება.

კომისიის აზრით, ამაზე მეტად შემცირება შეუძლებელი ხდება ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის განსხვავების (20000 მან) თბილისის აღმასკომზე გადარიცხვა.

1 მაისიდან გან. სახ. კომ. ფონდს უკვე 10 პროცენტით დაკლებულ იღებს.

ამგვარად იქმნება ფონდის ნაკლუბობის შესაძლებლობა, თუ თავის დროზე ზომები არ იქნა ამ შესაძლებლობის აღსაკვეთად.

დახმარება უმუშევრებს.

სამდივნოს დადგენილებით აპრილში დახმარება მიეცა 57 უმუშევარს 6 მანეთი თითოეულს.

საქართველოს პროფკავშირთა ეროვნული შემადგენლობა

საქართველოს პროფკავშირების ეროვნულ შემადგენლობის გამოკვლევამ მოგვცა დიდი შედეგები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება მრავალი დასკვნის გამოყვანა და ხელმძღვანელობა ჩვენი შემდეგ მუშაობის გეგმის და გადათვალიერების დროს, განსაკუთრებით კულტურული მუშაობის და საკავშირო ორგანოების გადაკეთების საქმეში.

გამოკვლევის შედეგი

თბილისში 40 910 წევრს ანუ 42,7 პროცენტს, მაზრებში — 37 405 წევრს ე. ი. 39 პროცენტს; რკინისგზელთა კავშირიდან 17.462 წევრს ანუ 18,2 პროცენტს გამოკვლევა არ შეეხება მხოლოდ 5 პროცენტს მთელი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა, ამიტომ მიღებული დასკვნები თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ყველა პროფორგანიზაციების მიმართ.

გამოკვლევის შედეგები

ასეთია: სულ თბილისში ყველა კავშირებში ითვლება ქართველი — 14 709 ანუ 36 პროცენტი, სომეხი — 12 949 ანუ — 31.7 პროც, რუსი — 8 902 ანუ 21 85 პროც. დანარჩენი ეროვნებანი კი შეადგენენ 4 350, ე. ი. — 10,5 პროც.

მაზრებში ქართველები შეადგენენ 24 599 ანუ 65,8 პროც., სომხები — 4 028 პროც. ანუ 10,8 პროცენტს, რუსები — 5 112, ე. ი. 13,7, და სხვა ერები — 3.666 — ე. ი. 9,7 პროცენტს. აქედან ცხადია, რომ ჩვენს მაზრებში უფრო ერთგვარია მასსა, ვიდრე თბილისში.

სომხები და რუსები იძლევიან საგრძნობ პროცენტს მხოლოდ ორს ან სამ ქალაქში: თბილისში, ბათომში და სოხუმში. საკავშირო მასების ერთგვარობის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ პირველი ადგილი უჭირავთ რკინისგზელთ

აქ ქართველები შეადგენენ — 12 080 ანუ 69,2 პროც, სომხები — 1,404 ანუ 8, პროცენტს, რუსები — 3,046 ანუ — 17 4 პროც და სხვა ეროვნებები — 923 ანუ — 5,4 პროცენტი.

თუ ჯამს გავუკეთებთ ამ ცნობებს, მივიღებთ შემდეგ სურათს რესპუბლიკური მასშტაბით: საქართველოს ყველა პროფორგანიზაციები აერთიანებენ 51,397 ქართველს (ანუ 53,7 პროცენტს), 18,381 სომეხს ანუ 19.2 პროცენტს, 17,070 რუსს, ანუ 17,8 პროც. და სხვა. ეროვნებები — 8 929 ანუ 9,3 პროც.

მეცნიერება და ტეხნიკა

ბულბულის გალობის გადაცემა რადიო ტელეფონით.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისის რადიო-ტელეფონის სადგურმა მოახერხა ბულბულის გალობის გადაცემა რადიო-ტელეფონით საფრანგეთის სანაპიროებიდან ლონდონში.

ძილში სწავლების მეთოდები

სწავლებისათვის პაზ ნკოლას (ფლორიდას შტატი, ამერიკა) საზღვაო სკოლაში ოფიცრები ეცნობიან რადიო-ტელეგრაფიას. სკოლის სასწავლო ნაწილის დირექტორი იყო ჯ. ნ. ფინნეი. მან შეამჩნია, რომ ზღვაზედ ... და სამხედრო საქმის სპეციალური დარგების შესწავლით დაღლილ ოფიცრებს ძლიერ უჭირთ მორზეს ანბანის შესწავლა. ტელეგრაფისტს კი ყველა ასოები აღბეჭდილი უნდა ჰქონდეს ტვინში. გამოცდილ ტელეგრაფისტს შეუძლია იმსჯელოს, ილაპარაკოს და ამავე დროს გაგზავნოს დეპეშა ისე, რომ ერთი შეცდომა არ მოუვიდეს. და აი ექიმმა ფინნეიმ, რომ გაეადვილებია მოწაფეებისათვის ანბანის შესწავლა პირველად ასეთ მეთოდს მიმართა: პირველი გაკვეთილის დროს მოსწავლეებს აძლევდნენ ასოებს და ციფრებს, რომლებიც შედგებიან ერთი ან რამდენიმე წერტილიდან და ხაზიდან. მოწაფეებს ეუბნებიან: ეს ხმა ნიშნავს ამ ასოს, ეს ამას. როცა მოწაფეები იძინებენ, მათ ყურზე აქვთ სამენი მილი და ინსტრუქტორი მთელი ღამის განმავლობაში მათ რადიო ტელეგრაფის საშუალებით უმეორებს დღისით შესწავლილ ნიშნებს არა ერთხელ შეუმჩნევიათ, რომ როცა რადიო-ტელეგრაფით დაუძახეს ძილის დროს რომელიმე მოწაფეს, ის იმ წამსვე იღვიძებდა.

ამან წარმოშვა აზრი დაძინებულთან ტელეფონით ლაპარაკის შესახებ. სცადეს და შეამჩნიეს, რომ მძინარის სახეს გამომეტყველება იცვლებოდა იმის და მიხედვით, თუ რას ელაპარაკებოდნენ მას. როცა დაძინებულებს ძილში მოესმოდათ ყურში ცნობილი საერთაშორისო ნიშანი S. O S., მძინარე მოწაფეები იმწამსვე ფეხზე წამოდგებოდნენ. ამერიკელები უფრო შორს წავიდნენ და ღამის ინსტრუქტორი შეცვალეს ავტომატიური მანქანით.

ცნობილ ამერიკულ ფსიქოლოგს ა. ფერგიუსონს განზრახვა აქვს შემოიღოს სწავლების ეს მეთოდი ადამიანის ფსიქიურ ძალების გასადიდებლათ.

ნათელია, რომ ადამიანის უდიდესი ფსიქიური ძალების გამოყენება აუარცხელ სარგებლობას მისცემს კაცობრიობას და მთელ გადატრიალებას მოახდენს ცხოვრების ყველა დარგებში.

ქრონიკა

■ **სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების თათბირი.** სრ. საქართველოს გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი მოწვეული იქნება თბილისში 6 ივნისს.

■ **თბ. ბოტანიკური ბაღის გამშვენიერება.** მიწად-მოქ. კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო განყოფილების მიერ შეკეთებულ იქნა თბ. ბოტანიკური ბაღი, ბაღი ამჟამად მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. გამოიცა სავალდებულო წესები ბაღში მოსიარულეთათვის.

■ **ხარშლის ჭირი.** საქ. ჭირი აპრილის თვეში არსებობდა გორის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრებში, ხოლო ამჟამად აცრის საშუალებით აღნიშნულ მაზრებში ჭირი თითქმის სრულებით მოისპო.

■ **ქუთაისის გლეხთა კომიტეტი.** ქუთაისის გლეხთა კომიტეტმა თბ. შეიძინა 1000 ფ შაბიამანი და 150 ფ გოგირდი, ნაწილი წამლეულობისა გადაეცა „სვირის“ მევენახეთა ამხანაგობას.

■ **ტალახით მკურნალობა.** 1 ივნისიდან ჯანმრთელობის ფიზიო თერაპევტიულ ინსტიტუტში დაიწყება ტალახით მკურნალობა.

■ **მიწის რეფორმა თბილისის მაზრაში.** თბ. მაზრაში მიწის რეფორმის დაჩქარებით დასასრულებლად ამჟამად მუშაობას აწარმოებს 10 მიწის მზომელი.

■ **ცეცხლისაგან დაზღვევა.** უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ მიიღო გეგმა დადგენილებისა ქალაქებში ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევის შესახებ

■ **შრომის ბირჟა.** 22 მაისს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა — 153 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა — 78, მოთხოვნილება იყო — 99, სამუშაოზე გაიგზავნა — 114.

■ **სტუდენტთა აწერის უკანასკნელი ვადა.** განათლების კომისარიატმა სტუდენტთა აღწერის უკანასკნელი ვადათ დანიშნა 1 ივნისი. ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება არავითარი მიზეზები და თხოვნები აღარ მიიღება.

■ **სააგარაკო სეზონის დაწყება** ბორჯომის, აბასთუმნის, წყნეთის და ახტალას სანატორიუმ სეზონები დაიწყება 15 ივნისს, წყალტუბოში — 20 მაისიდან უკვე დაიწყო, ბახმაროში — 1 ივლისიდან, ხოლო სანატორიებში — 20—25 ივნისიდან.

■ **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.** თბ პოლიტ-მმართველობამ გამოიმუშავა მომავალ წლისთვის გეგმა წერა კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. ამ ახლო ხანში დაიწყება წერა კითხვის უცოდინართა აღრიცხვა.

■ **ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა ახალშენი.** ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა ახალშენის გასაშენებლად დიდუბეში უკვე დაიწყეს სახლების შენება.

■ **სესხი სახლების სამშენებლო კოოპერატივს.** კომუნალურმა ბანკმა მუშათა ბინების სამშენებლო კოოპერატივს სესხის სახით მისცა ასაშენებელ ბინების ხარჯთ-აღრიცხვის 75 პროც.

■ **გადასახადი წყალზე.** წყალზე დაწესებულ გადასახადის შეტანის დროს გადამხდელებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო მოწმობები ადგილკომებიდან წყალზე შეღავათის მიცემის შესახებ.

■ **მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.** ამ.-კ. ცენტრ. აღმასრ კომიტეტმა მიიღო დადგენილების პროექტი ამ.-კავკასიაში 1923—24 წლების მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ.

■ **მელითონეთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ.** მელითონეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა აცხადებს მელითონეების კავშირის, როგორც დაზღვეულ, ისე დაუზღვეველ უმუშევარ წევრების საყურადღებოდ, რომ 1-დან 5 ივნისამდე გაიცემა მაისის თვის დახმარება. აღნიშნულ ვადაში ვინც არ გამოცხადდება, ის დაჰკარგავს დახმარების მიღების უფლებას.

■ **საჯავახო-ჩოხატაურის გზის შესაკეთებლად.** საჯავახო-ჩოხატაურის გზის და საავადმყოფოს სამშენებლო დამხმარე კომიტეტი სთხოვს ყველას, ვისაც აქვს ქვითარი ამავე გზის ფონდის გასაძლიერებელი თანხის შესაგროვად, დააჩქარონ ანგარიშის გასწორება.

■ **ლექციები სოციალური დაზღვევის შესახებ.** სახელმწიფო დაზღვევის ამიერ კავკასიის სამმართველომ მოაწყო ქ თბილისში სამმართველოს ბინაზე უფასო ლექციები სოციალური დაზღვევისთვის აგენტების მოსამზადებლად, ლექციები იკითხება ყოველ სამშაბათს საღამოს 6 საათზე.

■ **იუსტიციის კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი.** ამ. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გადაწყვიტა, ახლო ხანში მოიწვიოს ამიერ-კავკასიის იუსტიციის კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი.

შემთხვევები.

■ **ქურდობა.** 21 მაისს, დილის 10 საათზე სომხ. ბაზრის ქ. № 24, მოქ. გრიგოლ ... სავაჭროდან მოპარეს 4 ოქროს სამაჯური.

■ **ჩექმების ქურდი.** 20 მაისს დილის 11 საათზე ელისაბედის ქ. № 200, მოქ. შალვა ნიჟარაძეს ჯიბიდან კუზნეცოვმა მოპარა ჩექმები. ქურდი შეიპყრეს.

ხელოვნება

ვირსალაძის და ცოციანოვის სონატური საღამო.

სონატური (ვიოლინო და ფორტეპიანო) ლიტერატურა შედარებით ღარიბია; ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მუსიკალური ლიტერატურის ამ დარგს იშვიათათ ხვდებიან კონცერტების პროგრამას.

ამიტომ მეტად სასიამოვნო იყო ისეთი არტისტების კონცერტის მოსმენა, როგორიც არიან პიანისტი ქალი ვირსალაძე და ვიოლინოზე დამკვრელი ცოციანოვი.

ორივე შემსრულებლის ანსამბლი სრული იყო; ერთი ინსტრუმენტი თითქოს ავსებდა მეორეს და ასეთი მთლიანობის გამო შესრულება მეტად მხატვრული გამოვიდა.

ცეზარ ფრანკის სონატა არის ახალი ფრანგული სკოლის (ნეო-კლასიკური) ნიმუში, მაგრამ კომპოზიტორი არ ჰკარგავს მელოდიებს; განსაკუთრებით კარგია მელოდიური სონატის მეორე და მესამე ნაწილში.

რუბინშტეინის სონატა არ არის კლასიკური მუსიკის ნიმუში. მუსიკაში მელოდიური ფორმების აპოლოგეტს — რუბინშტეინს თავის სონატაში უხვად აქვს ლამაზი და მომხიბვლელი მელოდიები; შეიძლება ისინი არ იყოს ღრმა თავისი შინაარსის მხრივ. მაგრამ მათი ღირსება იმაშია, რომ ისინი მეტათ ლამაზი და ადვილათ შესათვისებელია. განსაკუთრებით კარგია მეორე ნაწილი და ფინალი.

ორივე შემსრულებელმა საუცხოოთ გამოჰყვეს სონატის ყველა მუსიკალური პერიოდები: საუცხოო იყო მეტი დინამიურობა და ტემპერამენტი.

რახმანინოვის სონატა კომპოზიტორის ერთერთი საუკეთესო და დამთავრებული ნაწარმოებია როგორც ფორმის, ისე მუსიკალური შინაარსის მხრივ.

მსმენელი დიდხანს ვერ ივიწყებს პირველი ნაწილის თემას და სონატის მთელ მესამე ნაწილს, რომელიც მეტათ ღრმაა და ამასთანავე მდიდარი კეთილშობილი მელოდიებით. შესრულება შეეფერებოდა ნაწარმოებს.

კამერულმა საღამომ მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა. ორივე კონცერტანტს აუდიტორია ოვაციებით შეხვდა.

პ. მეზვრიშვილი.

— **ლეო ქიაჩელის წიგნი.** რედაქციამ მიიღო ლეო ქიაჩელის მოთხრობათა პირველი ტომი წიგნში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ჯადოსანი, სტეფანე, წყალსოფელი, ცოდვის შვილები, პატარა ისტორია, ბერი და ყორანი, იმედები, escalade, კრიმინალი, მეველეობა კოტე-გორაზე, წიწა და ტირაჟი.

წიგნი ლამაზადაა გამოცემული, შეიცავს 150 გვერდს და ღირს 1 მან. 25 კაპ

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** წყალსადენის მუშათა კლუბში დღეს, 24 მაისს გაიმართება უფასო წარმოდგენა მუშებისათვის, წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“ ირეთელის

— **თეატრი „ულამაზო სარკე“.** ლენინგრადიდან თბილისში საგასტროლოთ ჩამოვიდა თეატრის, „ულამაზო სარკის“ მსახიობთა დასი, რომელიც ოპერის თეატრში გამართავს 4 წარმოდგენას — 28 29, 30, და 31 მაისს.

— **საბავშვო წარმოდგენა 25 მაისს.** ახალ კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართება საბავშვო წარმოდგენა უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ

— **რეჟისორ დ. ჩარკვიანის ბენეფისი.** დღეს, 25 მაისს, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია არტისტის და ამავე თეატრის რეჟისორის დავით ჩარკვიანის ბენეფისი. ბენეფიციანტი სდგამს „ჰამლეტს“. ჰამლეტის როლს შეასრულებს თვით ჩარკვიანი.

კონცერტი. დღეს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ან. ბალანჩივაძის და პავ. მანსვეტოვის კონცერტი. პროგრამა შედგენილია ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებებისაგან. სხვათა შორის, შესრულებული იქნება მანსვეტოვის მიერ დაწერილი სიმფონია „დიდი ოქტომბერი“.

პროვინციაში

სოფ. დიდი ჯიხაიშის კოოპერატივის გაქურდვა

ორშაბათს, 5 მაისს დიდი ჯიხაიშის კოოპერატივი „წინ“ ბოროტმოქმედებმა ღამით, უკანა კარის გამოჭრის საშუალებით, გაქურდეს და წაიღეს დიდ-ძალი ფართლეულობა და სხვადასხვა საქონელი, რომელიც იყო სამტრედიის კოოპერატივიდან გადმოგზავნილი, ამავე საზოგადოების წასულ წლის აბრეშუმის პარკის სათესლეში დასაროგებელი. ... წაღებულ საქონლისა დაახლოვებით უდრის 200—250 ჩერვონეცს. როგორც გამოირკვა, საქონელი გადაზიდულია ურმით. ამისთვის ადგილობრივ რწმუნებულის მიერ იქნა დაკავებული კოოპერატივის გამგეობის მთელი შემადგენლობა და ყველა ის 3 პირი, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ამ კოოპერატივთან, მაგრამ სამტრედიის მაზრის მილიციის უფროსის დაკითხვის შემდეგ, თითქმის ყველანი იქნენ განთავისუფლებულნი. ბოროტმოქმედნი ჯერ ჯერობით ვერ აღმოაჩინეს.

ასეთი ბოროტმოქმედება დიდი-ჯიხაიშის ფარგლებში ჯერ არ მომხდარა და სამწუხაროა მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისედაც [illegible] გლეხი თავის ცოლ შვილით, შიმშილ ტიტველი ელოდებოდა ერთ-ერ არშინ ჩითეულს და ამავე დროს მის მთელ წლის ნაშრომ ნაღვაწს იტაცებს ვიღაც ბოროტმოქმედი.

საჭიროა მიაქციოს ამას ყურადღება მთავრობამ, რათა გლეხებს ცოტათი მაინც გაუნაღდეს თავისი ნაშრომი.

აგრეთვე საჭიროა, დიდი ჯიხაიშის რწმუნებულმა და სამტრედიის მაზრის მილიციის უფროსმა მეტი ენერგია გაშალონ ამ ბოროტმოქმედების გასახსნელად. არ არის საკმარისი მარტო იმათი დაჭერა, ვინც უკვე ამ საქმისათვის დაჭერილია, საჭიროა მთელი იმ პირების დაკავება და მათზე სასტიკი გამოძიების წარმოება, რომლებსაც ეჭვს მიიტანს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. აგრეთვე საჭიროა პარტიულების და თვით საზოგადოების ჩაბმა ამ ბოროტმოქმედების აღმოსაჩენათ, თორემ, როგორც სჩანს, ეს არ არის ბოლოს ქურდების მოქმედება, და თუ დამნაშავე არ იქნა აღმოჩენილი, ის იმედენათ გათამამდება, რომ ხვალ მაღლობელ სოფლის კოოპერატივს გასტეხავენ და როგორც ჯიხაიშის გლეხებს, ისე მათაც ამოაცლიან სულს.

ვ. ხურგულია.

ქ. დუშეთი

14 მაისს მოხდა ქ. დუშეთის მუშა-მოსამსახურეების და გლეხების დემონსტრაცია პროტესტის გამოსაცხადებლად გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ, საბჭოთა წარმომადგენლობაზე აღმაშფოთებელი თავდასხმის გამო ბერლინში, შეკრებილმა ხალხი გაეცნო ამ ამბავს. სიტყვების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: მოვისმინეთ რა მოხსენებები გერმანიის ფაშისტურ მთავრობის და მისი პოლიციის უხეში მოქმედების შესახებ, ჩვენ ქ. დუშეთის მუშა მოსამსახურენი და გლეხობა სასტიკ პროტესტს უცხადებთ მათ და არავის ნებას არ მივცემთ ასეთი შეურაცხყოფა მიაყენონ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს.

ძირს ფაშიზმი. ძირს შტრეზემანი, გაუმარჯოს კომუნისტური ინტერნაციონალს, გაუმარჯოს წითელ ჯარს, რომელიც არის ზარის დამცემი მუშათა კლასის მტრების.

აგრეთვე იქნა გაგზავნილი მისასალმებელი დეპეშა ამიერ კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების ყრილობის სახელზე. შემდეგ ინტერნაციონალის სიმღერით მიტინგი იქნა დახურულად გამოცხადებული.

თაანელი დუთა.

სოფ. ურბნისი (გორის მაზრა)

სოფ. ურბნისი გაშენებულია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კლდეზე; რკინის გზის ლიანდაგიდან ნახევარ ვერსითაა დაშორებული. აქვს რკინის გზის ბაქანიც, სადაც ჩერდებიან სამგზავრო მატარებლები. ეს სოფელი იშვიათაა ქართლში მით, რომ არ იციან თავადი მემამულე. მატონ ყმობისა არაფერი ახსოვთ და სხვებიდგან გაკიცხულს თუ გაიგონებენ რასმე. 240 კომლი მცხოვრებნი სულ გლეხებია და გვარეულობითაც ძველი ჩამომავალნი...

ურბნისის სახნავ-სათესი მინდორს ყოველწლივ სწვავს სიცხე პაპანაქება და ამიტო ნიადაგურადება მათი ამაგი. სარწყავი წყლის არხი კი აქვს აქაურს მინდორს. არხი აქვთ გეგმიანი, 20 ვერსიანი, მაგრამ წყალი ურბნისის მინდვრამდე ვერ აღწევს.

ამის მიზეზია, ჯერ ერთი, ის რომ არხი შეკეთებას საჭიროებს და მეორე ის, რომ სარწყავი წყლით სარგებლობის წესრიგი არ არის დაცული რასაც ჯერ არს. ეს კარგად იცის ყველამ, კარგად იცის წყლის სამმართველომ გორში და იცის შედეგი. მაზრის გაზეთებში ორჯერ-სამჯერ გვიწვევდნენ შეფები, (რკინის გზის სამოძრაო ნაწილი, მგონი სარევიზიო განყოფილებიდან), რომელთაც ... შეხვედრენ ურბნელები. ერთად ერთი თხოვნა ჰქონდათ მათთან — არხი შეგვიკეთეთო. დაგვპირდნენ — მოვალთ, მოვიყვანთ ტეხნიკოსს, იარაღსაც მოვიტანთ და გავაკეთებთო.

მგონი გაზეთშიაც კი მოათავსეს ეს დაპირება. ჩვენც ველოდით. მაგრამ ამაოდ. ჯერ გაზეთებული მიაწურა და მათი არაფერი ისმის.

სად არის ურბნისის შეფი? შეფობამ სოფლად კარგი ნაყოფი მოიტანა — ეს ყველასათვის დასანახია, მაოლოდ ურბნისის შეფმა რათ მიიძინა ასე — არ ვიცით. ერთ კვირა დღეს მაინც მოსულიყვნენ და მოეხილნათ თავის სოფლისათვის, გაგრილდებიან. მაინც. გადაჭრით შეიძლება ითქვას რომ თუ სასწრაფოდ არ იქნა აღმოჩენილი არხის შეკეთებაში დახმარება, რომ სიმინდი მაინც მოიყვანონ, თუ ყანების მობრუნება დაგვიანებულია, წრეულ ... წელიწადი შიმშილს უქადის აქაურებს ურბნისი ერთხელ მოისპო როგორც ქალაქი (ურბნისი ძველად ქალაქი ყოფილა), ეხლა მოისპობა როგორც სოფელიც.

უკვე ისმის ხმები — ავეყარნეთ, სადმე გადავიდეთ ამ ტიალ ქვეყნიდანო ადგილობრივ ნახვით ყველაფერს რომ გაეცნობა კაცი, მართლაც მივა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ აქ ცხოვრება არ ღირს. ეს კარგად იცოდნენ ჩვენს წინაპრებს და ამიტომაც გაჭრეს გეგმიანი, წარმოუდგენელი შრომის გაწევით — 20 ვერსიანი არხი, რომელიც როგორც მოგახსენეთ, დღეს შეკეთებას თხოულობს და ურომლისოდაც ურბნისის მცხოვრებთა სასოფლო მეურნეობა წარმოუდგენელია ველით დახმარებას ვისგანაც ჯერ არს.

ვასო ურბნელი

შაბათს, 24 მაისს, დილის 11 საათზე მოწვეულია **სასწრაფო სხდომა** თბილისის სახ. გან. საქმეთა განყ (ოლქაღმასკომის ოთ. № 32), შემდეგი ამხანაგების, თბილისის საბჭოს წევრების დასწრება სავალდებულოა:

1. ორახელაშვილი მარიამი
2 ალამიძე თამარა
3. წულუკიძე ელენე
4. კონსტანტინოვი
5 ქართველიშვილი
6 ვარდოიანი გიორგი
7 კ ლოსანიძე ვასილი
8 ვ ჭირაძე
9 არხიმანდრიტოვი
10 არტემოვა
11. ბ ნკულაია დავითი
12 შავერდოვა
13. ხოჯალოვსკი ნიკოლაი
14 ხაჭაპურიძე
15. ვარსიმაშვილი
16. [illegible]
17. კალანდია ზოსიმე
18 სიხარულიძე ვასილი
19 აიგაზოვი ნიკოლოზი
20. ბესიშვილი
21. ქიქოძე
22 ალაჯალოვა ნინა
23. თოფურიძე კონსტანტინე
24. ზირაქაშვილი
25 [illegible]
26 პოლოსოვი
27. სულავა კირილე
28 [illegible]
29 [illegible]
30. ახალაძე

დღის წესრიგში არის მოხსენება სახალხო განათლების განყოფილების მდგომარეობის შესახებ

დასწრება აღნიშნული ამხ., აგრეთვე კომისარიატის იმ წევრებისა, რომელნიც მიწერილნი არიან სახ. გან. სექციაზე სავალდებულოა

1—1 5 1163 თბ სახ საბჭ საერთო [illegible] ამ. ტუხაძე

სენაკის მაზრა

სამაზრო აღმასკომის მუშაობის გეგმა

სასოფლო სამეურნეო დარგი 1) გაუმჯობესებული იარაღების გავრცელება, გლეხთაგან არტელების და კომუნების შექმნა იარაღების შეძენის გასაადვილებლად უკვე დაწყებულია.

2) სხვა და სხვა სამეურნეო კულტურის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა, როგორიცაა ბამბის თესვა, აკაციის მოშენება და სხვა და სხვა სამაზრო აღმასკომი აწყობს საჩვენებელ ბამბის პლანტაციას 40 ქცევა მიწაზე

3) ჭაობიანი ადგილების ამოშრობაზე ზრუნვა მაგ. ჭალადიდის რაიონში, მუშაობა უკვე დაწყებულია.

4) მთებიდან, უნაყოფო ადგილებიდან მოქალაქეების ბარში გადმოსახლებისათვის ხელის შეწყობა და სათანადო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება.

5) სამეურნეო კოოპერატივების და გლეხთა საკრედიტო ამხანაგობების დაარსება მაზრაში.

სახალხო ჯანმრთელობის დარგი. 1) რაიონებში საავადმყოფოების მოწყობა და საექიმო პუნქტების თავის დონეზე დაყენება.

2) მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის სადგურების გახსნა საჭირო ადგილებში.

3) ზრუნვა სენაკის მაზრაში წითელი ჯვრის განყ ს დაარსებაზე (უკვე დაარსებულია).

4) ლებარდე ჩხვალის აგარაკის და ნოქალაქევის აბანოს კარგად მოწყობა (სახლების გაშენება, გზის გაყვანა უკვე დაწყებულია).

განათლების დარგი 1) სკოლების ინვენტარით და სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფა. რაიონებში ცხრაწლიანების გახსნა, სამეურნეო სკოლებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

2) სამკითხველოების და კლუბების მოწყობა თემებში (დაწყ.).

3) ქ. ახალ სენაკში სახალხო სახლის გაშენება (დაწყ.)

4) [illegible] ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

კომუნალურ სამეურნეო დარგი. 1) თემების რაიონულ ცენტრებთან კარგი გზებით დაკავშირება (სწარმოებს).

2) მდინარე ცხენის წყლის ნაპირების გამაგრებაზე ზრუნვა (სწარმოებს).

3) აგურის და კრამიტის ქარხნის გახსნა.

4) სენაკის ელექტრო-სადგურის წყლის ძალაზე გადაყვანა.

5) ტყის ექსპლოატაციის ფართოდ წარმოება (სწარმოებს).

6) ჰიდრო ელექტრონის სადგურის საქმეში მაქსიმუმი ენერგიის გამოჩენა და მთელი მაზრის მოსახლეობის ამ საქმეში ჩაბმა.

მმართველობის დარგი. რაიონებში მოძრავი აპარატების შექმნა, მაზრაში მტკიცე წესრიგის დაცვა და ყოველგვარ ბოროტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოება.

აი, ის მთავარი ამოცანები, რომელიც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს დღის წესრიგში აქვს დასმული.

სენაკის სამაზრო აღმასკომის
საქმეთა მმართველი ა. კოდუა.

დაბა მუხრანი (დუშეთის მაზრა)

პირველ მაისს, მიტინგის შემდეგ, საღამოზე ადგილობრივ კლუბში წარმოდგენილ იქნა უფასოდ: „გამარჯვების წინ“ და „სიკვდილით დასჯა“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა, რომლებმაც საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი როლები.

ხალხი [illegible] დარჩა.

მადლობის ღირსია ცეკავშირი, რომელიც ითვლება მუხრანის შეფად და რომელმაც გამოუგზავნა მოწაფეებს რვეულები 400, კალმის ტარები, ფანქრები, მელანი, კალმები, სახელმძღვანელოები და სხვა.

აგრეთვე დაპირდა აღმასკომი ამხ. ლენინის ბიუსტის გამოგზავნას, ელექტრონის სადგურის აშენებას მდინარე ქსნიდან გამოყვანილ არხზე, სადაც აგებულია მატურიანი წისქვილი, და სამკითხველოსთვის ყუნალ გაზეთების გამოწერას და წიგნების გამოგზავნას.

მუხრანელი.

ასურეთის რაიონი (თბილისის მაზრა)

ასურეთის რაიონში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სასურველი ნაყოფი მოაქვს. ამაში უმთავრესი ღვაწლი მიუძღვის რაიკომის წარმომადგენელთ, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კულტ-მუშაობაში და ყოველმხრივ ეხმარებიან ადგილობრივ კულტ განმანათლებელ კომისიას. კომისიის მიერ დადგენილია ჩატარდეს ამ თვეში ანტი-რელიგიური კამპანია მთელს რაიონში — კამპანიის ჩატარება დაიწყო სოფ ვაშლოვანში, სადაც ასურეთის რაიონის მოძრავი დასი და ლიტერატურული წრე გაემგზავრენ 19 მაისს ვაშლოვანი აერთებს 3 სოფელს: ლოუბანს, ბორბალოს და ერტას. დილიდანვე ვაშლოვანში დაიწყო დენა გლეხკაცობამ ზემოხსენებულ სოფლებიდან. თავი მოიყარა 500 კაცამდე. სცენა მოეწყო ყოფილ მებატონე ორბელიანის სახლში. დადგმულ იქნა ორი პიესა: „რევოლიუციონერი“. აგიტ-პიესა 1 მოქ. და ცნობილი ანტირელიგიური კომედია „სულის მამა“. წარმოდგენის წინ რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. შალვა ლეთისჯვრიშვილმა და დიდ ენაგეთის მასწავლებელმა ამხ ვ. წილოსანმა ვრცლად და შინაარსიანად გააცნეს დამსწრე საზოგადოებას თეატრის მნიშვნელობა და შემდეგ შეეხნენ პიესის შინაარს, გაიშუქეს, თუ რამდენად ფლიდი და მატყუარა ყოფილან „სულის მამები“. ადგილობრივ სკოლის მოწაფეებმა წაიკითხეს რამდენიმე ლექსი რევოლიუციური შინაარსისა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი გავლენა იქონიეს ორივე პიესებმა, განსაკუთრებით „სულის მამამ“. ასეთივე კამპანია ჩატარდება ცენტრებში: კოდაში, სალაშენში და დიდ ენაგეთში

ამგვარ მუშაობას დიდი ნაყოფი მოაქვს, ათვალსაჩინოებს მშრომელ მასას და ყველ შეძლებულის ფუნტავს მასში. უსურვოთ კამპანიის მოხელეთ იმ ენერგიით მუშაობა შემდეგში, როგორც მუშაობდნენ დღევანდლამდე.

ტონაწელი.

ბიბლიოგრაფია

„მნათობი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-სალიტერატურო სამეცნიერო ჟურნალი

№ № 1 და 2.

თბილისი, პასუხისმგებელი რედაქტორები: მ. კახიანი და ვ. ბახტაძე. გამომცემელი: საქ. პოლიტ-განათლების მთავარმმართველობა.

დღემდე საქართველოში თითქმის არ არსებობდა ერთი სერიოზული ჟურნალი, რომლის გარშემო შეიძლებოდა ყოფილიყო რევოლიუციონურ ინტელიგენციის შემოკრება. თავისთავად ცხადია, არ შეიძლება იმის თქმა თითქოს სამეცნიერო ჟურნალის ბაზარი ღარიბი ყოფილიყო სხვადასხვა ჟურნალებით; პირიქით, „სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე“, „ჩვენი მეცნიერება“, „კავკასიონი“ და სხვა — აი სად პოულობდა სასიცოცხლო წყაროს ჩვენი სამეცნიერო ბაზარი.

„სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე“ — ვიწრო აკადემიური ორგანოა. მასი აქტიური თანამშრომელი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურაა, რომელსაც იდეურად არავითარი კავშირი არა აქვს მარქ-

მუშათა ცხოვრება

ექსკურსანტების საყურადღებოდ.

„ზაჰეს“-ის სამუშაოთა სამმართველო აღნიშნავს, რომ ხშირია შემთხვევა სამუშაოთა ადგილზე მოსული ექსკურსანტები არღვევენ მიღებულ წესრიგს, მიდიან იქ, სადაც აკრძალულია მისვლა, არ იცავენ სათანადო სიფრთხილეს აფეთქების დროს და სხ.,—ამიტომ ცხადდება საყურადღებოდ, რომ ექსკურსანტებმა სავსებით უნდა დაიცვან სამუშაოთა ადგილზე მიღებული წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუშაოთა სამმართველო იძულებული იქნება შეამციროს ექსკურსანტების რიცხვი.

„ზაჰეს“-ის სამმართველო.

სად არის უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია

(ქუთაისიდან, ვისაც ეს შეეხება)

ჩვენს რედაქციაში ხშირად მოდიან თხოვნით, გვაცნობოთ, თუ სად არის მოთავსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია.

ვთხოვთ გვაცნობონ, ვისაც ეს შეეხება, სად არის მოთავსებული აღნიშნული კომისია და როდის სწარმოებს მისი მუშაობა.

თანამშრომელი.

მუშური ზეიმი

ა. წ. 18 მაისს წყალსადენის მუშა-მოსამსახურეებმა ადგილკომის და კომუჯრედის ხელმძღვანელობით გადაუხადეს წყალსადენის დამსახურებულ მუშა—ზეინკალ გიორგი მაკრიათის 35 წლის თავი.

ზეიმი გადაუხადეს წყალსადენის „რეზერვუარზე“, სადაც შეიკრიბა ორასამდე მუშა მოსამსახურენი.

ზეიმს ხელს უწყობდა მზიანი, გრილი მაისის მომხიბლავი დღე.

ამხანაგები ჯგუფ ჯგუფად დასეირნობდნენ „რეზერვუარის“ ბაღში, მღეროდნენ სხვადასხვა გვარ ქართულ სიმღერებს და ათვალიერებდნენ შენობებს და ბაღებს, რასაც ეტყობოდა მრავალი და ძლიერი ხელი საბჭოთა მშენებლობის და ადმინისტრაციის ენერგიული მუშაობის.

ავტომობილით მოიყვანეს მოხუცი ამხ. მაკრიათი, რომელსაც ტაშის ცემით შეხვდნენ მუშა მოსამსახურენი.

ამხ. ლ. გაგნიძემ გახსნა ზეიმი. ადგილკომის სახელით მიულოცეს ამხ. თავგირიძემ და ჯაბიაშვილმა, კომუჯრედის სახელით ამხ. ტიგიშვილმა, მეორე რაიკომის სახელით ამხ. მელაძემ, ადგილკომის და წყალსადენის ადმინისტრაციის სახელით ამხ. ქადასამიძემ, მუშა მოსამსახურეთა სახელით გულაძემ, არჩვაძემ და სხვ.

საჩუქრად მიართვეს სამუშაო იარაღი (250 მან.), ბიუსტი „მუშა“ და მიეცემა სამნახევარი თვის ჯამაგირი; განთავისუფლებულია მძიმე სამუშაოსგან და ეძლევა მხოლოდ ხელმძღვანელობა სახელოსნოს მუშებზე—ოსტატობა.

ამის შემდეგ გაიმართა ნადიმი, რამაც დიდად გაამხიარულა მუშა-მოსამსახურენი. საღამოს სურათის გადაღების შემდეგ ყველა დაიშალა ნასიამოვნები.

მუშკორი ათანასე განიძე.

მეტი ყურადღება ჩვენი ქარხნების წარმოების საქმეს

ხშირად ალაგი აქვს ჩვენი საქარხნო საფაბრიკო წარმოებაში ისეთ მდგომარეობას, რომ დაუდევრობით თუ უვიცი მოქმედების მეოხებით იხურება ფრიად მნიშვნელოვანი და გამოსადეგი ფაბრიკა-ქარხნები.

უკანასკნელ წლების განმავლობაში დახურულ წარმოებებიდან დავასახელებთ ზოგიერთებს:

ორი შუშის ქარხანა: ერთი ქვემო ავჭალის და მეორეც ბორჯომის შუშის ქარხანა.

უკანასკნელი ჯერ არ დახურულა, მაგრამ დახურვის კარზეა. ორი თამბაქოს ქარხანა თბილისში: „კომეტა“ და „მირი“-ც; დაიკეტა აგრეთვე ტყავის ქარხანა № 2.

არა გვგონია, რომ ზოგიერთ ამ ქარხნების არსებობას და მათი წარმოების ხელის შეწყობა განვითარებას დიდი სარგებლობა არ მოეტანა ჩვენი ახლად ფეხადგმულ და ჯერ კიდევ ეკონომიურად ძირ-გამოუმაგრებელ სახელმწიფოსათვის.

სამწუხაროდ, მრავალი ასეთი მნიშვნელობის მქონე წარმოებანი დაიხურა.

ეს მდგომარეობა ეხლაც გრძელდება.

მაგ., თბილისში არსებობს წუმწუმის ქარხანა „25 ოქტომბრის“ სახელობისა. მისი მდგომარეობა ძალიან ცუდია კარგა ხანია, ქარხანას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს მიზეზი უცილობლად რაღაც უვარგისი წარმოებაა. უკანასკნელად მას ამტყდენი გადასახადები დაადვეს, რომ მას არ შეუძლია მიიტანოს და დახურვის მოლოდინშია ისიც.

რა იქნება ამით?

ამიერ-კავკასიის მასშტაბით ერთად ერთი წუმწუმის ქარხანა გვაქვს და იმასაც ვერ მოვუარეთ, ვერ ვაწარმოეთ. ეს არ არის მისაწონი.

მეორე ქარხნების დაკეტით ქუჩაში გამოდებულ მუშებზე რომ მზრუნველობა ეკონომიური ხომ უნდა გასწიოს სახელმწიფომ!! ეს უნაყოფო ხარჯები იქნება.

ერთი სიტყვით საჭიროა ხელის შეწყობა ჩვენი წარმოებებისათვის მეტის ინტენსივობით, რომ მალე აღსდგეს ჩვენი მეურნეობა.

მუშკორი ხმელი.

ვისია ავტომობილი № 470

ავტომობილების მიხვერილი ამ ბოლო დროს გახშირდა იმის გამო, რომ მათ განაგებენ ისეთი პირები, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ შოფერობის ხელობასთან. მაგალითი ამის მეტია, მაგრამ ზოგიერთი პირები დღესაც განაგრძობენ შოფერის მოვალეობის ასრულებას.

ა. წ. 19 აპრილის საღამოს 7 ს. 20 წ. დიდუბეში ელისაბედის ქუჩაზე ვინმე შოთნიაშვილი მოაქროლებდა ავტომობილს № 470, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა კაცი. საჭიროა გამოირკვეს—ვისია ეს ავტომობილი. ვინ ჩააბარა ასეთ უვიცს, რომლის მოვალეობას სრულიად არ შეადგენს ავტომობილის ტარება?!

მუშათა-კორესპონდ. [illegible]

ქ. ალმასკომის საყურადღებოდ

კურსკის ქუჩაზედ № 8 მუშა-მოსამსახურეები, უწყლობით განვიცდით საშინელ გაჭირვებას. მიზეზი ამისა არის შემდეგი: 1921 წ. ამ სახლის ქვედა სართულში ვაჭრის ხოშტარიას გაუყვანია წყალი, რომელიც დაუჯარიმებიათ და წყალიც დაუკეტიათ. 1922 წ. ჩვენ ახალმა მდგმურებმა (ყველა მუშები), ვითხოვეთ წყლის გახსნა, მაგრამ მოგვთხოვეს მოქ. ხოშტარიას ჯარიმის გადახდა (ეს უკანასკნელი ცხოვრობს ქ. ერევანში); ჩვენ რა შუაში ვართ? არიან მოვალენი სახლის პატრონი და ხსენებული ხოშტარია. ვითხოვთ წყლის გახსნას.

მუშა მოსამსახურეთა მონდობილობით ძაგნიძე.

მუშკორის წერილი მიზანს აღწევს

ერთ ერთ ნომერში გაზ. „კომუნისტი“-სა აპრილის თვეში მოთავსებული იყო წერილი 26 კომუნარის სახელობის საქ. ამბულატორიის შესახებ, რომელშიდაც აღნიშნული იყო ფერშალის დაუდევრობა და გულცივად მოპყრობა სამსახურისადმი და მუშებისადმი. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორმა, გაიმართა მიმოწერა და დღეს ამბულატორიაში წესიერება არის, ფერშალმა იგრძნო თავისი დანაშაულობა და დღეს საქმეც კარგად სრულდება. ამბულატორიის ექიმ ვარაზიოვმა ყოველგვარი ზომები მიიღო ფერშალის მიმართ და ჩვენი მუშები უკვე აღარ ემდურებიან ფერშალს და ამბულატორიას.

მუშკორის ხმა ყველა იყო და იქნება რევოლუციონური და მართალი.

მელითონე.

მუშათა ქრონიკა

— მუშებს ეხმარებიან. ქიმიკოსთა კავშირის სამდივნომ თავის სხდომაზე ამხ. ირიცმუხოვის მოხსენების შემდეგ დაადგინა, რათა ს. მ. უ. საბჭოს მიერ მუშებისათვის გადადებული [illegible], სახლის და სხვა ტრესტების მიერ 10 პროცენტი—4,000 მანეთი მოხმარდეს მუშების ბინების გაუმჯობესების საქმეს აგრეთვე მიეცემით—მუშებს იაფ ფასიანი სანოვაგე და დანარჩენი ფული კი ხელზე დაურიგდებათ.

— ჩვენი მუშების საყურადღებოთ: ქალ. ალმასკომის დადგენილების თანახმად მთლიან მუშათა კოოპერატივის მაღაზიებში ვაჭრობა იწარმოებს დილის 7—12 საათამდე და საღ. 2—5 საათამდე. მუშებს, რომლებიც დილით მსახურობენ და ამიტომ დრო არ აქვთ სანოვაგის ყიდვის დილაობით, ახლა ამისათვის საკმაო საშუალება ეძლევათ.

— უპატრონო ბავშვთა სამუშაოზე გამოყენება. თანახმად ცენტ. კომ. დადგენილებისა და მიმართვისა, მიწა-ტყის კავშირი ზომებს იღებს და მუშაობას აწარმოებს უპატრონო ბავშვების სასოფლო-სამეურნეო დარგში სამუშაოზე გამოყენებისათვის.

— მოჯამაგირეთა შეკავშირება. იგივე კავშირი მთელ საქართველოს ფარგლებში აწარმოებს მოჯამაგირეთა შეკავშირებულ მუშაობას.

— მუშების კურორტებზე გაგზავნა. სამტრედიის რკინისგზის ლიანდაგის კავშირი ზომებს იღებს მუშების კურორტებზე გასაგზავნათ.

— დაზღვევისათვის. უმუშევარ ხელოვანთა კავშირის წევრებმა სადაზღვევო ფული უნდა შეიტანონ საქალაქო კომიტეტში არა უგვიანეს 1 ივნისისა.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

მუშა ხარაძეს.

მე ვმუშაობ ლითონის ქარხანაში 1923 წ. 15 სექტემბრიდან და როგორც უკვე 5 ნახ. თვის ნამსახური ამ წ. მარტის პირველ რიცხვებში მივიღე მორიგი შვებულება ორი კვირის ხანგრძლივობით. 1924 წელში, ჩემის აზრით, მორიგი შვებულება კიდევ ნახევარი თვით მეკუთვნის 1 სექტემბრიდან. ადმინისტრაცია კი ამაზე არ თანხმდება და საშვებულებო სიაში არც შეუტანივარ და არც ფიქრობს, შრომის კანონთა წინააღმდეგ, ჩემს ამ წელში შვებულებაში გაშვებას. გთხოვთ მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა ამ წელში მორიგი შვებულება შრომის კანონთა ძალით, და თუ მეკუთვნის, აქვს თუ არა ადმინისტრაციის უფლება ეს კანონები დაარღვიოს.

პასუხი.

შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხ. ძალით მუშა მოსამსახურეთა მორიგი შვებულება მთელი სამუშაო წლის განმავლობაში ეძლევათ მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, ნახევარი თვით ერთი თვით, თუ მეტით, განისაზღვრება მისი მორიგი შვებულების ხანგრძლივობა. პირადად, თქვენ, ამხანაგო, უკვე მიგიღიათ ამ წელში ერთხელ მორიგი შვებულება და როდესაც თქვენ ადმინისტრაცია უარს გეუბნებათ, მეორეჯერ მორიგი შვებულების მიცემაზე, ის იქცევა სრულიად კანონიერად, რადგანაც თქვენ ასეთი არ გეკუთვნით.

(გირჩევთ ამ საკითხს ვრცლად გაეცნოთ ამხ. [illegible] წიგნაკში—ხელმძღვანელო „დაქირავებულ პირთა უფლებრივი შვებულება“ მე გვერდი—15—24 მდე)

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ, რათა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო მოქ. ანდრია გრიგოლიას, რომელმაც ზიარბითის ქართულ სკოლას შესწირა 18 მანეთი; ამხ. ქაცარავას, რომელმაც შესწირა 10 მანეთით და აგრეთვე 30 თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმს, რომელმაც აღმოუჩინა სხვა და სხვა დახმარება ქალაქ თბილისში ექსკურსიაზე.

მასწავლებელი: შალვა [illegible].

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება
ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატისა
მაისის 17-ს 1924 წ.

ვინაიდან უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია, რომ მშრომელი მასები განსაკუთრებულის ინტერესით ეკიდებიან ფიზიკური კულტურის საქმეს, საჭიროა ამ დარგში მომუშავე დაწესებულებათა უზრუნველყოფა შესაფერი ლიტერატურით, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს: განათლების კომისარიატის ყველა წიგნთ-საცავებიდან გამოყოფილ იქნას წიგნები მათ ფიზიკური კულტურის, ზოგადი ჰიგიენის და ფიზიკური ვარჯიშობის მეთოდების საკითხებზე.

ეს წიგნები გადაეცემა საქ. ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს, მასთან სპეციალური წიგნთსაცავის მოსაწყობად.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 24 მაისს, დილის 9 საათზე თბილისის ალმასკომის პოლიტ-განათლების განყოფილებაში (ალმასკომი ოთახი № 32) შესდგება თათბირი ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. იწვევენ კომკავშირის თბილისის კომიტეტის თბილისის სამხედრო კომისარიატის და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლებს.

საშეფო კომისიების საყურადღებოდ

— საშეფო ბიურო წინადადებას აძლევს ყველა საშეფო კომისიებს აუცილებლად გაემგზავრონ შეფობის ქვეშ მყოფ ნაწილებში წითელ არმიაში გაწვევის კამპანიის გასატარებლად.

მასალები უნდა მიიღოთ რაიკომებში.

დაბრუნების შემდეგ საშეფო კომისიების წარმომადგენლები უნდა გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში და გააკეთონ მოხსენება მოგზაურობის შესახებ.

საშეფო ბიუროს თავმჯდომარე: ვენიაკოვი.

საქართველოს კომპარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს სამი დღის ვადაში მოსალაპარაკებლად შემდეგ საშეფო კომისიების წარმომადგენლებს: მელითონეების, [illegible] ქარხნის, რკინიგზელების პროფკავშირის და ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო
განყოფილების გამგე: ვენიაკოვი.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები

ლენინის სახელობის „საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების“ ცენტრალური საბჭო ამით აცხადებს ყველა დაწესებულების და ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ „სპარტაკის“ სახელობის ბავშვთა კომუნისტურმა ჯგუფებმა მიიღეს სახელწოდება 26 იანვრიდან: ლენინის სახელობის „საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები“.

ცენტრალური საბჭო სთხოვს ყველა დაწესებულებებს და მოქალაქეებს მიმართვის ან სიტყვა-ხმარებაში იხელმძღვანელონ ზევით მოყვანილ სახელწოდებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკკომკავშირის უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ კვირას 25 მაისს დილის 9 საათზე უნივერსიტეტის შენობაში შესდგება უჯრედის კრება, რომელზედაც მოხდება უჯრედის გაწმენდა; ვალდებულია უჯრედის ყველა წევრები და კანდიდატები დაესწრონ კრებას და მოიტანონ შევსებული ავტობიოგრაფია.

უჯრედის ბიურო

თანახმად საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეების [illegible] თათბირის დადგენილებისა იმის შესახებ, რომ პროგრამულ-მეთოდური კომისიის მუშაობა დამთავრებულ იქნეს მიმდინარე წლის აგვისტომდე, რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს 26 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში შესდგება პროგრამულ-მეთოდური კომისიის სხდომა.

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: დუბენსკი, რაბინოვიჩი, კანაროვი, რასულზადე, პაიკიანი, მელიქ შახნაზაროვი, დუდუჩავა, ლეპლეინი, ჩუხლოვი, გოლუბი, სოსნოვსკი, ვოლკოვი, ალიხანიანი, დანდუროვი, მარკარიანი, თათარიშვილი, გეგეჭკორი, ბუდაღოვი (ა-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი), ა. ესენინი, ხაჭაპურიძე, ბელენკი, მედვედევი, კასაღანი.

რ. კ. პ. ა | კ. საოლქო კომიტეტის საგ.-საპროპ. განყოფილება

დააბრუნეთ წიგნები

ცენტრალური პარტიულ კლუბის გამგეობა სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთაც წაიღეს წიგნები საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიბლიოთეკიდან 1923 და 1924 წ.წ. განმავლობაში, დააბრუნონ ისინი 5 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სიები გადაცემული იქნება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში პარტიული სასჯელის დასადებად აქ ჩამოთვლილ ამხანაგებზე.

1) შახნაზაროვი ალექსანდრე, 2) კოხოვი გიორგი, 3) ცინცაძე ივანე, 4) სმირნოვი ნინა, 5) შახბუდაგოვა სატენიკ, 6) მოსკალენკო ივანე, 7) [illegible] გედეონ, 8) სკუდინი არკადი, 9) დანელია ანნა, 10) ზორინი ნიკოლოზ, 11) [illegible], 12) გერასიმოვი ნიკოლოზ, 13) კაკაბაძე იოსებ, 14) ტერხინავა ვასილი, 15) კრაკოვ სიმონ, 16) კრისა პავლე, 17) ფაილიძე იულიანე, 18) სიმინ კია, 19) ალექსანიანი ტაჩატ, 20) ისაკოვი ლევონ, 21) მენაბდიშვილი ვასილ, 22) დოლიძე გრიგოლ, 23) პრიპეჩკო პოლიკარპე, 24) ავდეკოვი ევგენი, 25) ლაკირბაი მიხეილ, 26) კოგან მირიამ, 27) ბრიზუნიკოვი მიხ., 28) კუზმინი ალექსი, 29) ხემიჩანი არუთინ, 30) შენგელია არჩილ, 31) მირსკი იაკობ, 32) ვაგნერი რომან, 33) კამენცკი გრიგოლ, 34) ჯაფარიძე სერგი, 35) დუბინი თედორე, 36) პატარაია კირილე, 37) დუნემა მარია, 38) ლიბაბი თედორე, 39) ოქრუაშვილი არსენ, 40) ვენერი იაკობ, 41) გორგაძე ვალერიანე, 42) შაფირი იაკობ, 43) ბარანოვი ვასილ, 44) მასლოვი პეტრე, 45) ფუჩაიძე მიხეილ, 46) შავერდოვი არამ, 47) მანკევიჩი კონსტანტინე, 48) სელივანოვი მარტინ, 49) მიქაძე დავით, 50) ლეფრიაკოვი ივანე, 51) ბაგიროვი ნაგი, 52) გასან-საბაი, 53) აგამირზოევი გულამ, 54) ალექსანოვი გურამ, 55) გაბუნია გრიგოლ, 56) ტორია ალექსი, 57) ოვანესიანი სირანუშ, 58) გელმანი სოფია, 59) ტერ-გრიგოროვი, 60) დავითაია ლავრენტი, 61) რუსტეინი აშმან, 62) მაისურაძე ივანე, 63) ალიევი სკანდერი, 64) ლეგარი სერგი, 65) სოლოვიევი სერგი, 66) ამირაღოვი ნიკოლოზ, 67) სპასკი იური, 68) შუშინსკი ალექსი, 69) შიშ. ნოვიკოვა ლიდია, 70) ჩიქვნელი ალექ., 71) ბერმანი, 72) ბორ-რამენსკი კონსტ., 73) სმირნსკი რუდოლფ, 74) ვალიანსკაია ბ., 75) ალიხანიშვილი დავით, 76) ბასარია, 77) გრიშევი ივანე, 78) როზე იული, 79) ვაჩაძე გიორგი, 80) გოგორიძე ივანე, 81) საატსაზოვი სიმონ, 82) კასტარნოვი ვასილ, 83) ბაბუნაშვილი მიხეილ, 84) გნუსარევი მაკარ, 85) ბარტ სტელლა, 86) კაკაბაძე ანატოლი, 87) მანკოლი ვლადიმერ, 88) პანიუშევი პეტრე, 89) გოგია ბიქტორ, 90) აკოპიანი აკოპ, 91 არუთინოვი ამოშ, 92) გაგუა აკაკი, 93) აპპენიან კი ისაკ

ა | კ. კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტები

94) ჩერეპჩევა ბარბალე, 95) შეპტუნცევი ათანასე, 96) აბრამ ოღლი არტაშეს, 97 ტერ-პეტროსოვი ვაგან, 98, სოლომონიანი ილია, 99) ლეკავა თომა 100) ხომერიკი.

კომკავშირის წევრები.

101) რაიკოში დიმიტრი, 102) რინენბერგი აბრამ, 103) შახოვა ელენე, 104) ალამალინი თამარა, 105) ცინცაძე ქრისტინე, 106) ზელენსკი იაკობ, 107) სხაბოვსკი ევგენი, 108) ბალათურია პარმენ, 109) გლატოვი პეტრე, 110) ჩერნიკოვი პეტრე, 111) ცხეიძე გრიშა, 112) ინჩაგოვი ნიკოლოზ, 113) ცაგარელი პეტრე, 114) პაპასკუა გრიგოლ, 115) ტერ-სააკიანი ანდრონიკ, 116) ჩხეიძე შალვა, 117) ლიპოვი იური, 118) სკრიპჩენკო ბორის, 119) ლეჟავასამიძე ვალერიან, 120) ეჯგელი სიმა, 121) გოგიევი სერგი, 122) ჯავახია აკაკი.

პროფესიონალური

განათლების მუშაკთა სახლში

კვირას 25 მაისს საღამოს 6 ნახ. საათზე მუსიკის პედაგოგთა წრის სხდომა.

კვირას 25 მაისს ექსკურსია შესდგება მცხეთაში შიშკინის, როსტომბეგოვის და ფლორენსკის ხელმძღვანელობით.

ორშაბათს 26 მაისს საღამოს 7 საათზე ქართული ენის წრეში: რაბინდრანატ თაგორის სკოლა.

ს სულ მოთხოვნილებასთან ეს ჟურნალი, როგორც ამხ. ლენინი იტყოდა, „პროფესორული ფილოსოფიის“ ორგანოა. ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვყავს წითელი პროფესორები, რომელთაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება „სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეში“. ობიექტიურად შეუძლებელი ხდება ამ ჟურნალის გაჯანსაღება მარქსიზმის თვალსაზრისით.

მაგრამ ის, რაც ეხება „სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეს“—სრულიად მიუღებელია „ჩვენი მეცნიერებისათვის“. უკვე რამდენიმე ნომერი გამოვიდა ამ ჟურნალის და ერთი წერილიც არ ყოფილა იქ დაბეჭდილი ამ ხნის განმავლობაში მარქსისტულ მსოფლმხედველობიდან. რა პრობლემებს გინდათ თქვენ რომ იქ არ წააწყდეთ: „ორი ეტიუდი ძველ ქართულ მწერლობაში“, ძველი საეკლესიო ზღაპრები, სხვადასხვა თეორეტიული ოინბაზობა და მრ. სხვა, რომელთაც არავითარი ღირებულება არ აქვთ საღი აზროვნების განვითარებისათვის. აბა რა მეცნიერული ინტერესი აქვს ვიღაც ეჟიმეების ამბავს ან სხვადასხვა საეკლესიო ზღაპრებს, რომლითაც სავსეა „ჩვენი მეცნიერება“. საბჭოთა ფული და საბჭოთა ქაღალდი იხარჯება ისეთ ამბებზე, რომლითაც დაინტერესებულია ქართველი ძველი სამღვდელოება და მათი მონათესავე წრეები... „ჩვენი მეცნიერება“—ეს მათი „მეცნიერებაა“. იქ არავითარი „ჩვენი“ არ არის. და ეს ხდება დღეს, საქართველოში მარქსიზმის პოლიტიკური დიქტატურის ხანაში. მაგრამ თურმე მარქსიზმი არ ყოფილა მეცნიერება „ჩვენი მეცნიერებისათვის“. ამაზე შორს ბრიყვული თავხედობა არას დროს არ წასულა.

„კავკასიონი“ გარკვეული მიმართულების ჟურნალია. მის გარშემო თავს იყრის ძველი ქართული მწერლობა, ძველი სულით და ძველი მსოფლმხედველობით „კავკასიონი“ დაბეჭდილი აზროვნების შიშველი დემონსტრაციაა ამიტომაც აქ მარქსიზმსა და ლენინიზმზე რაიმეს წერა მიჩნეული „სიწმინდის“ შებღალვა იქნებოდა. ამრიგად საბჭოთა საქართველოში არ მოიპოვება ერთი სერიოზული მარქსისტული ჟურნალი, რომელიც ჩვენი მეცნიერული ორგანო ყოფილიყო. ამ ნაკლს ნაწილობრივ ავსებდა ჟურნალი „მომავალი“, (შემდეგ „ახალგაზრდა ლენინელი“) მაგრამ ავსებდა მხოლოდ ნაწილობრივ.. მისი ხარვეზები შევსება მოიწადინა ჟურნალმა „მნათობმა“. უკვე გამოვიდა ამ ჟურნალის ორი ნომერი.

პირველი ნომერი აუცილებლად მოითხოვდა იქ სავსებით არ არის გაშლილი მარქსისტული მსოფლმხედველობის ბუნება. სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილება ღარიბია ორიგინალური შემოქმედებით, მხოლოდ დემნა შენგელაიას ნ ჰ ერად და წერილი რომანის „სანავარდოს“ პირველი ნაწილის გარდა. მეორე განყოფილება (მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა) მიძღვნილი აქვს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას. აქვე მოთავსებულია ამხ. ამხ. კ. ორახელაშვილის პირველი წერილი პოლიტიკურ ეკონომიიდან. მესამე განყოფილება შედარებით უფრო მდიდარია. ცენტრალური მომენტი ამ განყოფილებაში არის ამხ. მოსე გოგიბერიძის წერილი „ალბერტ აინშტაინის რელატივობის თეორიის“ შესახებ. აინშტაინი უდიდესი რევოლუციონერია ფიზიკაში. მისი თეორია ძველი ფიზიკის ყურამდე გადატრიალებაა. ძველი ფიზიკის შენობის დანგრევით მრავალი ფილოსოფიური სისტემებიც დაზიანდა. ავტორი სიწორით ალაგებს აინშტაინის თეორიას. დალაგება და მისი ფორმა აუცილებლად პოპულიარულია. ეს პოპულიარობა არ ავნებს აინშტაინის თეორიას, რის გამოც წერილის ღირსება სხვათა შორის ამ ფორმალურ მომენტშიაც უნდა ვეძიოთ. ამავე განყოფილებაშია აგრეთვე ე. ბარნაბიშვილის წერილი ქვა-ნახშირის მარაგის შესახებ საერთოდ და ის. ორახელაშვილის—გასახელმწიფოების შესახებ. უცხოეთის განყოფილებაში მიდის ამხ. ნ. კიკნაძის წერილი ინგლისის „მუშათა“ პარტიის შესახებ, ხოლო კრიტიკა და პუბლიცისტიკაში დაბეჭდილია ი. გედევანიშვილის წერილი: „პროლეტარულ ხელოვნებაზე“ ბიბლიოგრაფია მდიდარია. „მნათობი“ ბუნებრივად უნდა დაუპირდაპირდეს „კავკასიონს“, „ჩვენს მეცნიერებას“ და სხ. ამიტომაც იქ აუცილებლად მარქსისტული მსოფლმხედველობა მთლიანად უნდა იქნეს გაშლილი ეს კი პირველ ნომერში არ არის: იქ ერთი წერილიც არ არის დაბეჭდილი მარქსისტულ ფილოსოფიიდან. საჭიროა ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. ჯერ კიდევ ამხ. ლენინი ამბობდა, რომ ბურჟუაზიის დამარცხება იდეურად შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც მებრძოლი მატერიალიზმის (воинствующий материализм) ფილოსოფიით მტკიცედ ვიქნებით შეიარაღებულნი, ამ ლოზუნგს აზრს გამოსთქვამს ჟურნალ „Под знаменем марксизма“-ში ამხ. ლ. ტროცკი. თუ რა ღირებულება აქვს ფილოსოფიას, ეს სპეციალურ გამოკვლევის საგანია, მაგრამ აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ ზოგი მეტის მეტად პრაქტიკოსების მიერ ფილოსოფიური თეორიის უარყოფა დღესაც დანაშაულია, რასაც (დანაშაულს) მთელი თავისი ენერგიით ებრძვის ამხ. ლენინი თავის ფილოსოფიურ ნაშრომში: „Материализм и эмпирио критицизм“.

„მნათობის“ მეორე ნომერი არაჩვეულებრივ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. იღებთ ჟურნალს ხელში და გრძნობთ რაღაც სიამოვნებას და ჩუმ კმაყოფილებას. იშვიათად ლამაზად არის გამოცემული. პირველ ნომერთან (159 გვერდი) შედარებით მეორე ნომერი გადიდებულია (319 გვერდი). ყველა ამ ფორმალური მომენტების გამო მეორე ნომერი მეტის მეტად სერიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ შესაფერისმა ფორმამ შესაფერისი შინაარსიც დაიჭირა. მეორე ნომერში მდიდარი შინაარსია. ორიგინალური მხატვრული შემოქმედება პირველ ნომერთან შედარებით უფრო მდიდარია. მაღლობში [illegible] აქ უპირატესი გალაკტიონ ტაბიძის „[illegible]“ ლექსი „ქარი“ და დემნა შენგელაიას რომანი (გაგრძელება) „სანავარდო“. ამ რომანის განხილვა შესაძლოა მაშინ, როდესაც ის დასრულდება. მეტის მეტად მდიდარია „უცხოეთის ლიტერატურა“. აქ მოთავსებულია ნაწყვეტი ი. ტოლსტოის წერილის, „ეროვნული სამხატვრო გალლერია“. ნომერში მოთავსებულია მონოგრაფია ევანე მაჩაბელის შესახებ. თეატრის პრობლემაც არ არის უყურადღებოთ დატოვებული: აღსანიშნავია აკ. ფაღავას და მ. ქორელის წერილები თეატრის შესახებ. მეცნიერების განყოფილებაში მიდის ამხ. მოსე გოგიბერიძის წერილის გაგრძელება და სარგის კაკაბაძის წერილი საქართ. ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. ფილოსოფიიდან დაბეჭდილია ამხ. შ. დუდუჩავას წერილი: „ლენინის ფილოსოფიური შეხედულებანი“ და მ. გ—ძის „ი. კანტის დაბადებიდან ორასი წლის შესრულების გამო“. ბიბლიოგრაფია აქაც მდიდარია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოგრაფიას. ბიბლიოგრაფია უნდა ეხებოდეს არა მარტო ქართულ ნაწარმოებს, არამედ რუსულსაც და თუ კი შესაძლებელი და მოსახერხებელია უცხოეთისასაც.

როგორც ვთქვით მთლიანად მეორე ნომერი იშვიათ, კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს: მდიდარია შინაარსი, მოქნილია ფორმა. მეორე ნომერს ეჩნევა გამოცდილი და ერთგული ხელი. „მნათობი“-ს არსებობა საციოცხლო ინტერესს შეადგენს ჩვენი გონებრივი ცხოვრებისათვის. ამიტომაც ყველას მოვალეობაა მისთვის ხელის შეწყობა და თანაგრძნობა.

შ. შ.

მენშევიკის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტი“-ს მახლობელ ნომერში.

1899 წლიდან მე ვეკუთვნოდი სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიას. 1908 წ. თბილისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით ყოველივე „ღირსების აყრის“ შემდეგ მე სამუდამოთ გადასახლებულ ვიქენ ციმბირში. დავბრუნდი თბილისში 1921 წ. და ამ დღიდან ვიყავი უპარტიოთ.

ეს დრო საკმარისი იყო ჩემთვის დავრწმუნებულიყავი საკმარისად, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი ჭეშმარიტი პარტია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მუშათა კლასის განთავისუფლება მძარცველ ბურჟუაზიის კლანჭებიდან.

ამიტომ მე დღეიდან ზურგს ვაქცევ სოციალ დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას და მსურს ჩემ ყოფილ ამხანაგებთან ერთად ვიმუშავო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას, გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლუციას.

ივანე გიორგის ძე მანჯავაძე.
22 მაისი, 1924 წ.

განცხადებები

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება ღრმა მწუხარებით იტყობინება, რომ 22 მაისს, დილის 4 საათზე, ქალაქ მოსკოვში გარდაიცვალა სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარე

ვიქტორ პავლეს-ძე ნოგინი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული
1041 1—1

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იტყობინებიან, რომ 22 მაისს, დილის 4 საათზე ქალაქ მოსკოვში გარდაიცვალა სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარე

ვიქტორ პავლეს-ძე ნოგინი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
1042 1—1

ძმა ირაკლი მჭედლიშვილი ცოლით, დედა ანა მგელაძისა, იოსები ცოლ შვილით და გრიგოლ სოლომონიშვილები, [illegible] ლაძე, და [illegible] ნატალია [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 25 მაისს, [illegible] საათზე, კათოლიკეთა ეკლესიაში [illegible] იქნება პანაშვიდი ამა წლის 19 მაისს მოსკოვში გარდაცვლილ

ვახტანგ მჭედლიშვილის

სულის მოსახსენებლად

საცოდავი, უბედური დედამისი მიხეილ [illegible]-ძე და [illegible] იისეს ასული გულდაჩაგრული და ძმა გიორგი და მარიამ [illegible] შვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 25 მაისს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შორეულ [illegible] თის ქ. ნიკოლსკში ტრაგიკულად დაღუპულ პირველთა [illegible] შვილის და მეორეთა ძვირფას ძმის ექიმ

იოსებ (ოთარ) მიხეილის-ძე შალიბაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წლის თავის წირვა პანაშვიდი
1035

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იულია, შვილები მუნიკა, [illegible] კო და დედა მაგდანა ბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 25 მაისს, დღის 12 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცის პანაშვიდი მათის დაუვიწყარის

სიმონიკა ბერიძის

სულის მოსახსენებლად
1040—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქაიხოსრო თაყაიშვილი, შვილები ბარბარე [illegible] ზინაიდა, ვლადიმერი, ანტონი (ტუტუ), [illegible] მარიამ დიმიტრის და ეკატერინე კონსტანტინეს ასულნი [illegible] სიძე ევგენი [illegible] მიქელაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას 18 [illegible] უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

პელაგია კონსტანტინეს ასულ[illegible] ჯაფარიძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება ს. ობჩაში, შაბათს, 24 მაის[illegible]
1043

გამოვიდა და იყიდება
ლეო ქიაჩელი
მოთხრობები—ნოველლები—ესკიზები
I
წიგნში მოთავსებულია 11 მოთხრობა, შეიცავს 166 გვ. [illegible]

„საქართველოს ტრანსპორტი“
ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა [illegible]
ექსპედიციო-სატრანსპორტო არტელი
შტაბის ქ. № 6 (პუშკინის ბაღის პირდაპირ) ტელეფონი № 6-7[illegible]
ამით აცხადებს, რომ ა | წ. 24 მაისიდან [illegible]
მიმოსვლა ავტომობილებით
სამგზავრო (ავტობუსი) და საბარგო მანქანებით
თბილისი — [illegible]
თბილისი — მანგლისი
თბილისი — კოჯორი
და უკან
და სხვა მიმართულებითაც.
ფასები მისაწვდომია ყველასათვის, 15 გირვანქა ბარგის [illegible] წაღება თითო მგზავრზე.
ბარგზე, ტვირთის და სხვა დავალებათა მიღება, როგორც [illegible]ში, ისე ქალაქს გარეთ.
ავტომობილები გაიცემა ყოველდღე (თუ 4 მგზავრი შეგროვდა) ცალკე დაქირავებით ავტომობილებისა—განსაკუთრებული შეთანხმებით. ბილეთების გაცემა ყოველდღე „საქართველოს ტრანსპორტის“ კანტორაში (შტაბის ქუჩა, 6).
დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკური [illegible] მკურნალობას საჭიროებენ
სამკურნალოს ხელმძღვანელობს ექ. სვიმონ ყიფშიძე
[illegible]. თბილისი, გოგებაშვილის ქ. № 20. 126—[illegible]

ექიმი ბ. ზ. მეზრაბიანი
შინაგანი, გულისა და ფილტვების ავადმყოფობათა სპეც. [illegible] ბა—შენიშ. 916 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული [illegible] ლება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. სად ბებუთოვის ქუჩა № 2[illegible]
895

ქ. თბილისის მე 3 რაიონის სახალხო სასამართლო აღმასრულებელი [illegible] ამით აცხადებს, რომ ის 28 მაისს 1924 წ. დილის 10 საათზე [illegible] № 12 გრიფის ქუჩა, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ივანე [illegible] მოძრავ ქონებას: საკერავ მანქანას, სამოვარს და სხვ. შეუფასებელი [illegible] ანტი გულოვანის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თ. მე 3 უბნის სახალხო სასამართლოსგან 11 თებ. 1924 წ. თარიღ[illegible] გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
1035—1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ა. [illegible]

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის [illegible] ნურ კომიტეტის 28 აპრილის დეკრეტის № 28 მუხლისა 62, [illegible] ალმასკომის მოქალაქეობრივი მდგომარეობის განყოფილება აცხადებს [illegible] მოქ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბოგატკომ შემოიტანა განცხადება [illegible] გვარის „ბოგატკო“-ს „ძლოშვილზე“ შეცვლის შესახებ.
ადმინისტრატიული სამოქალაქო ქ | განყოფილების გამგე [illegible]
ქ | განყოფილების გამგე ა. შარაშენიძე
1084—1—1 საქმის წარმომადგენელი ზ. [illegible]

დაიკარგა სახლის ქირის კვიტანციები და მეტრიკული [illegible] ბები თამარა ქუსიკაშვილის სახელზე [illegible] დან მიცემული ქორწინების საბუთიც. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა პასპორტი № 1023 დათიკო ახალკაციშვილის ჩაითვალოს გაუქმებულად.
1087—1

დაიკარგა გიორგი ხელაშვილის სახელზე გაცემული ლენინ[illegible] ტანი მოწმობა № 10091—1924 წ. 5 იანვრიდ[illegible] ვიდრო ლენინზე მუშობას გაუქმებულად აცხადებს მე 31 [illegible] ინსპექტორი ჯაფარიძე.
1081—1—[illegible]

სტამბა „[illegible]“ [illegible] ქუჩა № 4.